# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 20 თებერვალი 2006 №37 (2659) ფასი 50 თეთრი



**დინამოში უკვე ჩავჯექი**

ინტერვიუ ოთარ მარცვალაძესთან 2



**ტორპედო აირზენათი იფრენსო**

ქუთაისში რევაზ ძოძუაშვილი ბრუნდება 3



**პირველი ნაბიჯი განახევრებისკენ**

საქართველოს თასის მეოთხედფინალის მატჩების მიმოხილვა 4-5

# კლაუს ტოპმიოლერი ნაკრებს დროსა და სივრცეში ასცდა



კლაუს ტოპმიოლერს ტრანსატლანტიკური მივლინება დაგეგმილზე დიდხანს გაუგრძელდა და მხოლოდ ხვალ დილით მოახერხებს გერმანიაში დაბრუნებას. ამან აზრი დაუკარგა მის თბილისში ჩამოსვლას — 23 თებერვლის გამთენიისას ქართული დელეგაცია მალტისკენ გეზს ალბათ მის გარეშე აიღებს და კლაუს ტოპმიოლერიც მხოლოდ კუნძულზე გაიცნობს ნაკრების წევრებს. იქნება თუ არა მათ შორის შოთა არველაძე, ჰოლანდიელი დასტაქრების გადასაწყვეტია. „ალკმაარის“ გოლდამშენმა „უტრეხტთან“ გუშინდელ მატჩში ტრავმა მიიღო და მალტურ ტურნირში მის მონაწილეობას კითხვის ნიშანი დაესვა.

# შენი ტკივილი ჩვენი ტკივილია

## მილანი კალაძეს გვერდში დაუდგა




კალაძეების ოჯახის ტრაგედიამ, ბუნებრივია, გამოხმაურება იტალიაშიც ჰპოვა. შაბათს სერია A-ში „მილანისა“ და „კალიარის“ მატჩს წუთიერი დუმილი უძღოდა, გულშემატკივრებს კი „სან სიროზე“ ასეთი შინაარსის ტრანსპარანტი გამოეფინათ: „კახაბერ, შენი ტკივილი ჩვენი ტკივილია“. გამარჯვების გოლიც ალბერტო ჯილარდინომ კალაძეს მიუძღვნა, ნამატჩევს კი თქვა: „ჩვენი თანადგომით მან უნდა დაძლიოს ეს ურთულესი პერიოდი თავის ცხოვრებაში“.

თამაშის მერე კახა კალაძეზე სხვა მილანელებმაც ილაპარაკეს.

კლარენს ზეედორფი: „კალაძე ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და მას ყველანი მხარში უნდა ამოვუდგეთ“.

კარლო ანჩელოტი: „კახა პროფესიონალია და ამ ტრაგედიის მიუხედავად, მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მან ჩვენი მხარდაჭერა იგრძნოს“.

კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ კი დაადასტურა, რომ კახა კალაძე სამშაბათს ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და მერე ჩამოვა საქართველოში: „ეს თავად კახას არჩევანი იყო. იგი ნამდვილი პროფესიონალია და ამ საქციელით კლუბისადმი ერთგულებაც დაადასტურა“.

**ხვალინდელ სარბიელში**

**მხიარული ინტერვიუ სერიოზულ თემაზე**

**ცუღლუტი ბაშთურქი კლაუს ტოპმიოლერზე**



# ლაშა ჯაკობიამ არკაში ორჯერ გაიარა

კიევის „დინამოსთან“ კონტრაქტის მომლოდინე ოთარ მარცვალაძემ გუშინ პირველი უკრაინული გოლი გაიტანა. კიევის „დინამო“ ისრაელურ შეკრებაზე ალეკო ამისულაშვილის „ტავრიასთან“ პირველ ტაიმს 0:1 აგებდა, მარცვალაძე შესვენების შემდეგ გამოჩნდა მინდორზე და 57-ე წუთზე გამთანაბრებელიც შეაგდო: არტიომ მილევსკი და ოთარი პირისპირ გავიდნენ „ტავრიას“ მეკარესთან და ჩვენიანმა, ფაქტობრივად, ცარიელ კარში გაიტანა.

კიევის „დინამო“ 28 თებერვალს დაასრულებს შეკრებას, 5 მარტამდე, ანუ უკრაინის ჩემპიონატის განახლებამდე კი შინ მოემზადება.

რადგან უკრაინული თემაა, ლაშა ჯაკობიაზეც ვთქვათ: ხარკოვის „მეტალისტმა“ ტესტ-მატჩში 3:1 მოუგო პოლონურ „არკას“, ჯაკობიამ დუბლი მე-15 წუთამდე მიითვალა, მერე ერთი კი საგოლე პასიც გააკეთა. ჩვენებური მწვრთნელმა 77-ე წუთზე შეცვალა.

ილია ნანოგაშვილი

ოთარ მარცვალაძე და კიევის „დინამო“ — ეს თემა დღეს საქართველოში საკმაოდ საინტერესოა და, ბუნებრივია, გვერდს ვერაფრით ავუვლით. კიეველთა ვებგვერდმა გამოაქვეყნა ქართველ ფორვარდთან ინტერვიუ, რომლის თავშივე კახა კალაძე და ვარსკვლავური გზა იყო ნახსენები...



# დინამოში უკვე ჩავჯექი

## მარცვალაძე წავიდა იქ, სადაც გაიზრდება

კალაძის ვარსკვლავური გზა თბილისის „დინამოდან“ იტალიურ „მილანამდე“ კიდევ დიდხანს იქნება მილიონობით დამწყები ფეხბურთელისთვის სამაგალითო. საქართველოში კახას წარმატების ერთ-ერთ მიზეზად კიევის „დინამოს“ სკოლასაც მიიჩნევენ. თავად ოთარ მარცვალაძეც არ მალავს, რომ კალაძე მისთვის ყველანაირად სამაგალითოა...

— სამშობლოში კახა ეროვნული გმირია — ამბობს ოთარი — რამდენი წელია, თითქმის მთელი ქვეყანა „მილანს“ ქომაგობს. ხალხი მოუთმენლად ელის ნაკრების საშინაო მატჩებსაც, რადგან კალაძის თამაშის ცოცხლად ნახვის საშუალება ეძლევათ. ჩვენთან ყველა თვლის, რომ კახამ კიევის „დინამოსა“ და ვალერი ლობანოვსკის წყალობით მიაღწია ყველაფერს. მან ბევრ ქართველ ახალგაზრდას სხვანაირად დაანახვა ფეხბურთი.

— შენი არჩევანი რამ განაპირობა, რატომ მაინცდამაინც კიევის „დინამო“?

— საქართველოს ჩემპიონატში ვეღარ გავიზრდებოდი. თან უკვე სანაკრებო შანსი მიჩნდება, ნაკრებში კი ისეთ ფეხბურთელებთან მომიწევს კონკურენცია, იაშვილი, აშვეთია, კობიაშვილი, ასათიანი და სხვები რომ არიან. ჩემმა აგენტმა რევაზ ჩელებაძემაც რამდენიმე კლუბის ვარიანტი შემომთავაზა და ვფიქრობ, მათგან საუკეთესო ამოვირჩიე. ჯერ „დინამოსთან“ კონტრაქტი არ გამიფორმებია, თუმცა მითხრეს, ისრაელიდან კიევში დავბრუნდებით და ყველაფერს იქ მოვაგვარებთო.

— შენი აზრით, უკვე შეგიძლია ძირითადში დამკვიდრება?

— შეუძლებელი არაფერია. ცოტა დრო მჭირდება. აქამდე ასეთი დონის გუნდში არასოდეს მითამაშია და პირველ დღეებში გამიჭირდა. ახლა კი უკვე მესამე შეკრებაზე ვართ და, ვფიქრობ, საერთო სურათში ჩავჯექი. „ვიტ ჯორჯიაში“ უფრო ტექნიკურ ფეხბურთს ვთამაშობდით, დაცვაში ჩასვლაც ისე ხშირად არ მიწევდა. აქ კი სხვანაირი მოთხოვნებია, მაგრამ ვგრძნობ, რომ „დინამოში“ თამაში შემიძლია. თუ [illegible] მოითხოვს, მზად ვარ, [illegible] გუნდშიც მივიღო პრაქტიკა.

— შენს კარიერაზე რას გვეტყვი? ვიცით, ისრაელთან შეხება ადრეც გქონია...

— თელ ავივის „ჰაპოელში“ ექვსი თვე ვიყავი, მერე კი საქართველოში დავბრუნდი. 11 წლამდე საფეხბურთო სკოლაში ვთამაშობდი, მერე თენგიზ სულაქველიძემ შემამჩნია და თავის აკადემიაში წამიყვანა. იქ 16 წლამდე დავრჩი და მერე წავედი ისრაელში სტაჟირებაზე. მერე იყო „ვიტ ჯორჯია“ — თავიდან დუბლებში ვთამაშობდი, ნელ-ნელა კი გუნდის იტალიელმა მწვრთნელმა ჯანი კარნევალიმ ძირითადს შემაჩვია...

— შენს ოჯახში ფეხბურთი რა როლს თამაშობს?

— ორი ძმა მყავს, ერთი 90-იან წლებში ქუთაისის „ტორპედოში“ თამაშობდა. ახლა ის 33 წლისაა და კარიერა დაასრულა.

— კიევის „დინამოში“ წამოსვლა და საქართველოს ნაკრებში მიწვევა ერთი იყო...

— ადრე ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში ვთამაშობდი, ეროვნულში კი აქამდე არასოდეს მივუწვევივარ მწვრთნელებს. იმედი მაქვს, სანაკრებო დებიუტი ამ თვეშივე მექნება — 23 თებერვალს საქართველოს ნაკრები მალტის ტურნირზე სათამაშოდ მიდის, მერე კი კიევში დავბრუნდები და „დინამოს“ ძირითადში მოსახვედრად ვიბრძოლებ.

# რევიშვილს პენალტიც ასცდა

## რას აპირებ, ყურბან ბეი?

ყაზანის „რუბინის“ თავკაცი ყურბან ბერდიევი სერიოზული დილემის წინაშე დგება — სათამაშო გუნდის მთავარმეკარედ ლატვიელი ალექსანდრ კოლინკო ითვლება, მაგრამ ამხანაგურ მატჩებში ნუკრი რევიშვილი უფრო ყოჩაღად დგას.

18 წლის ქართველმა ესპანურ ლა მანგას ტურნირზე მოსკოვის „დინამოსთანაც“ მშრალად შეინახა კარი, არადა, რუსული სააგენტოების ცნობით, იური სიომინის გუნდს საგოლე მომენტები ოხრად ჰქონია. ეს თამაში „რუბინმა“ 3:0 მოიგო და ისე ჩანს, ყაზანელები ლა მანგას თასს ზედიზედ მეორედ მოიგებენ. რევიშვილმა კი მესამე მატჩი ჩაატარა ახალ გუნდში და ყველა გოლგაუშვებლად.

მოსკოვის „დინამოსთან“ 90-90 წუთი ითამაშეს ლაშა სალუქვაძემ და გიორგი ქინქლაძემ, რომელმაც ერთი საგოლე პასი მიითვალა.

...საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულმა რევაზ გოცირიძემ კი რუსეთის პირველლიგელ „კამაზს“ ტყუპი გოლი შეაშველა რუმინულ „პეტროლულთან“ 5:1 მოგებულ მატჩში.

ილია ნანოგაშვილი



# უკრაინელმა რუსს ქართველი არ დაუთმო

შაბათს რუსულმა „სპორტ-ექსპრესმა“ ძალიან საინტერესო ცნობა გაავრცელა: კიევის „დინამოს“ და საქართველოს ნაკრების მცველი ალექსანდრე ამისულაშვილი ერთწლიანი იჯარით ნალჩიკის „სპარტაკში“ ითამაშებს. რუსი ჟურნალისტების ვარაუდით, ამისულაშვილი „სპარტაკში“ მალე სამედიცინო შემოწმებას გაივლის და კონტრაქტსაც გააფორმებს.

ბუნებრივია, ამ ცნობამ ძალიან გაგვაკვირვა. ჩვენებურმა ხომ რამდენიმე დღის წინ სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ გააფორმა ხელშეკრულება და უკვე რა ხანია, ამ გუნდთან ერთად ემზადება. აღშფოთება ვერ დამალა ტავრიელთა სპორტულმა დირექტორმა რომან არონოვმაც: „ეს ინფორმაცია რუსული გაზეთის უნიჭო ხუმრობაა. შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, რომ ამისულაშვილი „ტავრიაში“, სულ მცირე, სეზონის ბოლომდე ითამაშებს. ამის თაობაზე კიევის „დინამოსთანაც“ შეთანხმებულები ვართ და მეტიც, ამისულაშვილთან კონტრაქტიც გაფორმებულია“.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ნალჩიკის „სპარტაკში“ სადღეისოდ ორი ქართველი ირიცხება — მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე და ნახევარმცველი გოგიტა გოგუა. მესამე ჩვენებურის, გოჩა ხოჯავას საკითხი კი დაახლოებით ერთ კვირაში უნდა გაირკვეს.

კახა შალამბერიძე

# შოთას მალტა სათუოა

## არველაძეს რამდენიმე დღეში ეტყვიან

გუშინ ჰოლანდიურ ერედივიზიონში შოთა არველაძის „ალკმაარმა“ შინ „უტრეხტთან“ 2:3 წააგო. არველაძემ სრულად ითამაშა, თუმც პირველ ტაიმში დაშავდა და ჯერ უცნობია, რამდენ ხანს მოუნდება ტრავმის მოშუშებას.

შოთას მარცხენა მუხლი აქვს შესიებული, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მალტის ტურნირისთვის ან იქნება, ან არა.

არველაძე მალტაზე მოლდოვასთან 1 მარტის თამაშისთვისაა გამოძახებული, ისევე როგორც გუნდის სხვა წამყვანი ლეგიონერები.

ერთი სიტყვით, შოთას მალტაზე წასვლა-არწასვლა რამდენიმე დღეში გაირკვევა.



დავით თამართქილაძე

# გურბიენკო მოდის, კამერუნელები მოჰყავთ

გუშინ „სასელექციო მივლინებიდან“ დაბრუნდნენ ბოლნისის „სიონის“ ვიცე-პრეზიდენტი დავით სილაგაძე და კლუბის დირექტორატის წევრი ბადრი უგულავა. მათ უკრაინაში რამდენიმე პერსპექტიული ფეხბურთელი შეიგულეს, რომელთაგან ერთ-ერთი უკვე ხვალ ჩამოვა საქართველოში. 25 წლის ალექსანდრ გურბიენკო შემტევი ნახევარმცველია და სიმფეროპოლის „დინამოში“ უთამაშია.

„სიონის“ პრესსამსახურის ინფორმაციით, ალექსანდრ გურბიენკოს კვალდაკვალ საქართველოში სამი კამერუნელი ფეხბურთელიც ჩამოვა, რომლებიც ბოლნისელთათვის საფრანგეთში გია გურულმა შეარჩია. ეს კვარტეტი „სიონში“ ტესტირებას გაივლის და ახალი მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე გადაწყვეტს, ღირს თუ არა რომელიმე მათგანთან კონტრაქტის გაფორმება.

გიორგი ნოზაძე

# ნაკრები მალტაზე მთავარი მწვრთნელის გარეშე მიდის?

## პარაგვაი დორნბირნში გადაწყდა



სათაურში დასმული კითხვის ნიშანი ეგებ უადგილოც იყოს. იმის ალბათობა, რომ მალტაში გამგზავრებამდე კლაუს ტოპმიოლერი თბილისში არ ჩამოვა, ძალიან დიდია. გეცოდინებათ, ამჟამად საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან უჩა უგულავასთან ერთად პარაგვაიში იმყოფება. ისინი დღეს ბრაზილიის გამოვლით დაბრუნდებიან უკან და ხვალ დილითღა იქნებიან ფრანკფურტში. სურვილის შემთხვევაშიც კი ჰერ კლაუსი ვერაფრით მოახერხებს ხვალ ეროვნული ჩემპიონატის რომელიმე შეხვედრაზე დასწრებას. ამ ეტაპზე ამას ალბათ აზრიც არ აქვს — სამალტე შემადგენლობა შერჩეულია, 22 თებერვალს ჩვენს ჩემპიონატში მობურთალი 14 ფეხბურთელი პირველ ტურს საკუთარ კლუბებში მოილევს, 23-ში დილით კი გეზს ვალეტასკენ აიღებს. ტოპი კუნძულზეღა შეუერთდება ქართულ დელეგაციას

ის, რომ კლაუს ტოპმიოლერი და საქართველოს ნაკრები „დროსა და სივრცეში" აცდნენ ერთმანეთს, ობიექტურ გარემოებათა თანხვედრის შედეგია. ჯერ პარიზი და ევროშესარჩევი ციკლის კალენდარზე ხუთდღიანი მუშაობა იყო, მერე ტრანსატლანტიკური მივლინება. იქნებ ჯერჯერობით თავად მწვრთნელსაც უჯობს შეძლებისდაგვარად გაემიჯნოს სხვათა მიერ დაკომპლექტებულ შემადგენლობას? თავად ტოპმიოლერის თქმით ხომ 35 ფეხბურთელი, რომელიც მალტაზე საქართველოს ნაკრების მაისურას მოირგებს, მისი გუნდი არ არის. ალბათ არც საქართველოს ნაკრებია... ეს არის ნიჭიერებიდან ტოპკლასამდე მერყევი 35 ფეხბურთელი და იქცევა თუ არა ჯერ საქართველოს ნაკრებად, მერე კი ერთიან გუნდად, თავად კლაუს ტოპმიოლერზეა დამოკიდებული.

რაც შეეხება პარაგვაული ვიზიტის შედეგებს: 31 მაისს საქართველოსა და პარაგვაის ნაკრებები ავსტრიულ დორნბირნში იამხანაგებენ. შეხვედრისადმი ინტერესი საკმაოდ დიდია და მისი ტრანსლირების სურვილი უკვე გამოთქვეს ინგლისურმა და შვედურმა ტელეკომპანიებმა — ეს ქვეყნები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრამ ერთ ჯგუფში მოახვედრა. გერმანიის მინდვრებზე პარაგვაელთა გამოსვლა გარკვეულწილად ჩვენთვისაც იქნება მნიშვნელოვანი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, თუ სამხრეთამერიკელები მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით ითამაშებენ, გაისად თბილისში გვესტუმრებიან ამხანაგური შეხვედრის გასამართად. ამის თაობაზე სიტყვიერ შეთანხმებასაც ასუნსიონში მიაღწიეს, სადაც 31 მაისის შეხვედრას საგანგებო პრესკონფერენციაც მიეძღვნა.

ჯერჯერობით ღიად რჩება მაისშივე არგენტინის ნაკრებთან სპარინგის საკითხი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებისგან ბოლო სიტყვას ელის და ამ მატჩის სავარაუდო თარიღად 27-28 მაისს ასახელებს.

**გიორგი ნოზაძე**

# ტორპედო აირზენათი იფრენსო

## ქუთაისში რევაზ ძოძუაშვილი ბრუნდება



რევაზ ძოძუაშვილს ქუთაისში ელიან

**ქუთაისის** „ტორპედოში" დიდი ამბებია მოსალოდნელი. სანდო წყაროდან შევიტყვეთ, რომ კლუბს ავიაკომპანია „აირზენა" ყიდულობს და ეს საკითხი თითქმის გადაწყვეტილია.

კლუბში ცვლილებები „აირზენას" ოფიციალურ მისვლამდე დაიწყო: „ტორპედოს" მთავარ მწვრთნელად იური კვერნაძე დაინიშნა, რევაზ ბურკაძე კი ისევ გუნდში რჩება. მაგრამ... კვერნაძე დროებითი თავკაცია, სულ მალე „ტორპედოს" რევაზ ძოძუაშვილი გაწვრთნის.

ძოძუაშვილის „ტორპედოში" დაბრუნებაზე ადრეც ვწერდით, ერთი ხანობა ამაზე სერიოზული ლაპარაკიც იყო, მაგრამ მაშინ გამოცდილი სპეციალისტი ლატვიურ „ოლიმპში" წავიდა და დღემდე იქაა.

არ ვიცით, რა მოხდება ახლა, მაგრამ აქამდე ძოძუაშვილი „ტორპედოში" ყოველთვის შედეგიანად მუშაობდა, რად ღირს თუნდაც ოთხი-ხუთი წლის წინანდელი პერიოდი, როცა ჯერ დავით ყიფიანთან ერთად, შემდეგ კი პირადად მისი თავკაცობით თბილისის „დინამოს" ორჯერ წაართვა ჩემპიონობა.

„ტორპედოს" გენერალურმა დირექტორმა ვლადიმერ ქუთათელაძემ გადაჭრით ვერ გვითხრა, მაგრამ „აირზენას" მისვლა და ძოძუაშვილის შესაძლო გამწვრთნელება კი დაგვიდასტურა...

„ავიაკომპანია „აირზენასთან" მოლაპარაკებები მიმდინარეობს, თუ რამდენი იქნება მათი წილი, შესათანხმებელია სხვადასხვა პირობები... ჯერ გადაწყვეტილი არაფერია. რაც შეეხება რევაზ ძოძუაშვილს, იგი უკვე იყო ჩამოსული საქართველოში, ახლა კი ბალტიისპირეთშია. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კლუბი ბატონ რევაზთან მოლაპარაკებებს აწარმოებს. შესაძლოა, „ტორპედოში" მისი დანიშვნის საკითხი ერთ თვეში გადაწყდეს".

მოკლედ, „ტორპედოში" ახალ ცხოვრებას ელიან, თორემ ამხელა ტრადიციებს საქართველოს ჩემპიონატში მეთერთმეტე ადგილი არ ეკადრება.

ამჟამად ქუთათურები კვლავ თბილისში ემზადებიან და სავარაუდო ახალწვეულიც ჰყავთ — ტანმაღალი დიმიტრი პარამონოვი, რომელიც ბოლოს „ზესტაფონში" თამაშობდა.

**ილია ნანობაშვილი**

# ზირაქიშვილის კლუბი: 14

**30 წლის** ფორვარდი ზაზა ზირაქიშვილი თავისი მეთოთხმეტე ტრანსფერისთვის ემზადება — ამ ფეხმალი ფორვარდის კარიერა ისე აეწყო, რომ გუნდებს ხშირ-ხშირად იცვლის.

რამდენიმე დღეში ზირაქიშვილი თურქეთს გაემგზავრება და ანთალიაში შეკრებაზე მყოფ ბელარუსულ გუნდს, გროდნოს „ნემანს" შეუერთდება. ზირაქიშვილი „ნემანში", ფაქტობრივად, გასინჯვაზე მიდის, თუმც გროდნოელებს ჩვენებურზე საკმაო ინფორმაცია ჰქონიათ აგენტის მეშვეობით და ტრანსფერს კარგი პირი უჩანს.

ზირაქიშვილი ბოლოს „ბათუმში" თამაშობდა, ხოლო საუკეთესო სეზონი ალბათ მაშინ ჰქონდა, როცა 2001 წელს თბილისის „დინამოში" ეროვნული ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელი გახდა.

**დავით თავართქილაძე**

# ცხოვრება პოსლეზე

## ნისია კი სხვისია, მაგრამ ტკივილი ხომ ჩემია...

თავდაპირველი ჩანაფიქრით, ეს რეპლიკა ირონიის გვარიანი დოზით უნდა ყოფილიყო შეზავებული, ალაგ-ალაგ კი არც სარკაზმი უნდა მოჰკლებოდა...

არ გამოდის!

ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდე ერთი კვირით ადრე გვახარეს: „დილას" დაფინანსება აღუდგა, ოღონდ ეს ფული გზის ხარჯებს თუ გასწვდება, მწვრთნელ-ფეხბურთელები კი „საზოგადოებრივ საწყისებზე", უხელფასოდ ჩაამთავრებენ მეორე წრესო...

კიდევ ორი დღე და, „ცხინვალიდანაც" ამბავი მოვიდა, სამახარებლო: ფეხბურთის ფედერაციამ ათი ათასი ლარი გამოგვიყო, ამ ფულს მომჭირნედ თუ დავხარჯავთ, მაისამდე გაგვწვდება და ეგებ მეორე წრის პირველ ტურამდე დარჩენილ ოთხ დღეში (!) ერთი შეკრებაც მოვაწყოთო...

სოხუმის „დინამო" დღესაც ელის აფხაზეთიდან ლტოლვილ იმ ბიზნესმენთა თანადგომას, ვისითაც სეზონის დაწყებამდე ექადნებოდა ქართულ საფეხბურთო სამყაროს...

მესამეადგილოსანი „ლოკომოტივი" დაიშალა, უწვერული ჭაბუკებით შეივსო და მშვიდად ყოფნის საშუალებას პირველ წრეში დაგროვილი ქულები თუ აძლევს...

ამ ყველაფერზე ვიქილიკო?

თუ იმაზე, რომ ერთ-ერთი ქართული გუნდის ავტობუსს (ნისიად ნაქირავებს) ყოველ ბენზინგასამართ სადგურთან გავლისას ტრაფარეტს ხსნიან — ყველა სადგურში საწვავის ნისია აქვთ გასასტუმრებელი და იმიტომ.

ამ ყველაფრის მერე ირონიით იმაზე უფრო დაწერ კაცი, ფედერაციის ჩინოსანმა რომ განაცხადა, საქართველოს ჩემპიონატიდან ფეხბურთელები პირდაპირ ევროპულ კლუბებში უნდა მიდიოდნენ, მაგრამ ამ ეტაპზე ჯანი გავარდეს — ოთარ მარცვალაძის კიევის „დინამოში" გადასვლასაც „არა უშავსო".

ან სულაც საკუთარ თავზე, რადგან უახლოესი ორთვენახევრის განმავლობაში, სულ მცირე, ეროვნული ჩემპიონატის 15 შეხვედრაზე მივლინება გარანტირებული მაქვს.

მაინც არ გამოდის! რაც გიყვარს, იმაზე ქილიკი არც არასოდეს გამოგივა.

ჯანდაბას, არარაობას ტრაფარეტმოხსნილი ავტობუსი, ოფიციალურად უხელფასო გუნდი, ოთხ დღეში ჩატეული სეზონისწინა შეკრება სჯობს. ეს გაცილებით ნაკლები სირცხვილია, ვიდრე 16 გუნდით დაწყებული ჩემპიონატის 12 ან 13 გუნდით ჩამთავრება. დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და პროფესიული ფეხბურთის ლიგის უპირველესი ამოცანა სწორედ მიმდინარე ჩემპიონატის როგორმე ჩამთავრებაა და თუ მართლა ინტრიგანი ან ჩასაფრებული არ ხარ კაცი, ქილიკი აშკარად უადგილოა.

არადა, ევროპას ვბაძავთ, ვედრებით, დაწევა გვინდა. ის ევროპა ფეხბურთში მოლვაწეობს, ფულს დებს, სპორტის ერთ სახეობას უდიდეს ინდუსტრიად აქცევს.

ჩვენ? ჩვენ ფეხბურთში ვთამაშობთ.

ფეხბურთის თამაშისა კი ჯერ რა მოგახსენოთ...

**გიორგი ნოზაძე**

# დავით ყიფიანის თასი

**მეოთხედფინალი. პირველი მატჩები**

# კოლხეთმა გლდანში ფოთზე იფიქრა




ბაჩო კორინთელის ფოტო

კოლხთა მეკარემ დავით ხარძეიშვილმა ამერელ სულიკო დავითაშვილს არც პენალტიდან გაატანინა და არც თამაშიდან

თბილისი. 18 თებერვალი. 14 საათი. ამერი. 800 (ტევადობა 900)

## ამერი 0:0 კოლხეთი

*დავითაშვილმა ვერ გაიტანა პენალტი (24, მეკარე)*

| ამერი | კოლხეთი |
|---|---|
| ამერი: ნადირაშვილი, კედელაშვილი, გ. კვახაძე, ხვადაგიანი, ჩივილაძე, დოლიძე, ბოლქვაძე (დობროვოლსკი 60), დეკანოსიძე, კოშკაძე, ა. კაიდარაშვილი (სევასტოპულო 64), ს. დავითაშვილი (წინამძღვრიშვილი 77) *სათადარიგონი:* ნაჭყებია; ბერიანიძე, გარუჩავა, სილაგავა. მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე | კოლხეთი: ხარძეიშვილი, კრასოვსკი, ჯ. შალამბერიძე, ფარულავა, ვართაგავა, ნარსია (ლოლუა 73), ქუტიძე, ქობულაძე, მარგალიტაძე, ნაბრია (ზ. ჯანაშია 17), ზ. ქუთათელაძე (წიქარიშვილი 60) *სათადარიგონი:* ლატარია; რაზმაძე, ყურაშვილი. მწვრთნელი: სოსო ფილია |

გაფრთხილება: ფარულავა (40), კვახაძე (66), შალამბერიძე (75, 77), კრასოვსკი (86)

გაძევება: შალამბერიძე (77)

მსაჯები: გ. ვადაჭკორია (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

დამკვირვებელი: ო. გუნთაძე; დელეგატი: შ. ბაქრაძე

**კობა ინასარიძე**

„კოლხეთის“ მწვრთნელმა სოსო ფილიამ ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე პირდაპირ და ალალად თქვა, „ამერის“ დამარცხების იმედი არ გვქონდა, დაცვიდან ვითამაშეთ და მეტოქის შეტევების ჩაშლაზე ვფიქრობდით...

ფოთელებმა მწვრთნელის სიტყვები ფრიადზე შეასრულეს, ანუ საპასუხო მატჩის წინ კარი მშრალად შეინახეს და ახლა შინ ნებისმიერი ანგარიშით მოგების შემთხვევაში ნახევარფინალის საგზურს გაინაღდებენ.

ხოლო გლდანში „კოლხეთმა“ როგორი დაცვითი ფეხბურთიც ითამაშა, სულ ორი სიტყვით აიხსნება — სტუმრებმა „ამერის“ მეკარე, მცველ გიორგი დავითნიძის არყოფნაში კაპიტნის სამკლავურით მოთამაშე ლადო ნადირაშვილი მთელი მატჩისას სულ ერთხელ, პირველი ტაიმის შუაში შეაწუხეს — დაახლოებით 25 მეტრიდან ჯონი შალამბერიძემ ჯარიმიდან სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ნადირაშვილმა ბურთი უშეცდომოდ მოიგერია. აი, სულ ეს იყო, რაც შაბათს „კოლხეთმა“ გააკეთა. შალამბერიძის დარტყმამდე და დარტყმის შემდეგ კი ფოთელებს საკუთარი საჯარიმოს მისადგომები ჰქონდათ გამაგრებული და, როგორც ფილიამ თქვა, მეტოქის შეტევების ჩაშლით იყვნენ დაკავებულნი.

და რას აკეთებდა „ამერი“? რა თქმა უნდა, უტევდა, ბევრს ცდილობდა და ფოთური მატჩისთვის საჭირო ფორის შექმნას ეშურებოდა. მაგრამ, რაც გამოუვიდა, ანგარიშიდანაც კარგად ჩანს. არადა, „კოლხეთის“ მცველების მეტ-ნაკლებად საიმედო თამაშის მიუხედავად, მასპინძლებმა დავით ხარძეიშვილის კართან რამდენიმე კარგი მომენტი შექმნეს და დამამთავრებელ ფაზაში ცოტა უფრო ყურადღებით რომ ეთამაშათ, საპასუხო მატჩის წინ ეგებ სანერვიულოც ნაკლები ჰქონოდათ.

„კოლხეთის“ კართან შექმნილი თითქმის ყველა ხიფათი კი „ამერის“ კუთხურებს მოჰყვა. ტანმაღალი ფოთელები — ილია ქუტიძე და მიხეილ ქობულაძე — მასპინძელთა შემტევებს მჭიდროდ მეურვეობდნენ, თუმცა რამდენიმე თავური მაინც გაეპარათ. ერთ ეპიზოდში გოლიც გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ მცველმა ბურთი ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა.

იყო გიორგი დეკანოსიძის ძალიან სახიფათო საჯარიმოც, რომელიც ხარძეიშვილმა გაჭირვებით მოიგერია კუთხურზე და კიდევ, ალეკო კოშკაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტიც იყო, „ამერის“ ბომბარდირმა სულიკო დავითაშვილმა რომ დაარტყა და ხარძეიშვილმა მოიგერია.

შესვენების შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა. მოედნის ბატონ-პატრონი „ამერი“ უტევდა, რეალური მომენტი კი აღარ ჰქონდა. „კოლხეთი“ ამ დროსაც უიმედოდ ჩანდა. არადა, სტუმრებს მეტი გამბედაობა რომ გამოეჩინათ, ეგებ ხელი უკეთესი შედეგისთვისაც გამოეკრათ. მაგრამ კარგად იგრძნობოდა, რომ ფოთელებისთვის ამ მატჩში მეტოქის კარი არ არსებობდა, მთავარი შინ გოლგაუშვებლად დაბრუნება იყო, არადა, ერთხელ „ამერი“ გრიგოლ დოლიძემ გადაარჩინა, თორემ ფოთელთა მეგოლე ზვიად ქუთათელაძე ნადირაშვილთან პირისპირ რჩებოდა.

„ამერს“ მოგების შანსი მაინც ებოდა. შეცვლაზე შესულ დავით სევასტოპულოზე ზედიზედ ორჯერ დაჯარიმებისთვის არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ გააძევა ფოთელთა კაპიტანი ჯონი შალამბერიძე, ვინც თემურ ფარულავასთან ერთად მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო...

„ამერმა“ ბოლო ძალები მოიკრიბა და შმაგად შეტევა სცადა, მაგრამ ფოთელებს უკვე საკუთარი ძალის რწმენაც შემატებოდათ და კარის შენახვაც შეძლეს.

წინ საპასუხო მატჩია, რომელიც შაბათისაზე გაცილებით უკეთესი უნდა გამოდგეს. იქამდე ხომ ეროვნული ჩემპიონატიც დაიწყება, გუნდები სათამაშო პრაქტიკას მიიღებენ და ალბათ უფრო სანახაობრივი თამაშიც გაჩაღდება, თორემ ახალგამოზამთრებული გუნდებისგან გლდანში ბევრსაც არაფერს ველოდით...




ამერელი ალექსანდრე კოშკაძე მოედანზე ერთ-ერთი გამორჩეული იყო




კაპიტან ჯონი შალამბერიძის გაძევებამ კოლხები არ გატეხა

ბაჩო კორინთელის ფოტოები

## პრესკონფერენცია

***სოსო ფილია:*** 0:0 გვაწყობდა, ვცდილობდით, ამერელთათვის ხელი ყველანაირად შეგვეშალა და ეს გამოგვივიდა კიდეც, თუმცა თამაშს დალი უხარისხო მინდორმაც დაატყო. „ამერი“ ფიზიკურად კარგადაა მომზადებული. ვფიქრობ, მინდორმა მასპინძლებს შესაძლებლობების სრულად გამოვლენის საშუალება არ მისცა. ფოთში გაცილებით რთული თამაში გველის.

***გიორგი ჩიხრაძე:*** ვიცოდით, რომ ფოთელები თავიდანვე დაცვით ტაქტიკას აირჩევდნენ და შეძლებისდაგვარად კონტრშეტევებზე ითამაშებდნენ. ბიჭებს ვუთხარი კიდეც, შეკრება და იქ თამაში ერთია და, ოფიციალური, მით უმეტეს, სათასო შეხვედრა — მეორე. ვეთანხმები ბატონ სოსოს, უხარისხო მინდორმა პრობლემები შეგვიქმნა. პირველი ტაიმი ნელ ტემპში ვითამაშეთ, აგრესია გვაკლდა, მეორეში ერთიც და მეორეც გამოვასწორეთ, მაგრამ ფოთელებმა მწვრთნელის დავალება მშვენივრად შეასრულეს. პირველ ტაიმში ვერგატანილმა პენალტმაც ფსიქოლოგიურად იმოქმედა.

საფეხბურთო კლუბი ფოთის „კოლხეთი“ იუწყება,
რომ ტრაგიკულად დაიღუპა ფოთის
ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი,
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის
ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი
**ბორის ბარამია**
და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

# დავით ყიფიანის თასი

მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

# პარლამენტი შევარდენზე

## ექსპერიმენტი, ლეპტოპი და ალავიძე

დავით თავართქილაძე

**თამაშის** გამომძებნი ფეხბურთელი — ამ საფეხბურთო სლენგით დახასიათებული მოთამაშის ყოლა ნებისმიერ მწვრთნელის ოცნებაა და ასეთი „სიონს“ ახალ თავკაც კახა ცხადაძისთვის ამ მატჩში არჩილ ალავიძე გამოდგა — მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე ალავიძემ დაახლოებით ოცდახუთი მეტრიდან საჯარიმო დარტყმით ცხრიანში ისე ააფართხალა ბურთი, რომ ბორჯომელთა კარის დარაჯმა ზურაბ მამალაძემ მას ოდენ თვალი გააყოლა.

ალავიძემ მეორე ტაიმში აიწყვიტა, ბოლნისელთა ყველა მწვავე შეტევა მარცხენა ფლანგიდან, ალავიძის ჩაწოდებით იწყებოდა, მისი ფინის ჩამცხრობი არავინ და არაფერი იყო, „ბორჯომის“ ალავიძის აგრესიულ შეტევებს ვერა და ვერ აზომბდა.

„სიონს“ მწვრთნელი მატჩის წინა დღეს შეეცვალეს, ზურა ქასრაშვილის ნაცვლად კახა ცხადაძეს უხმეს და ასეთი ექსპერიმენტის პირველი გამოცდა ბოლნისელებმა ჩამოტებით გაიარეს. ერთი მატჩით ბევრის თქმა შეუძლებელია, თანაც მოსამზადებელი ეტაპი „სიონმა“ ქასრაშვილის ხელში გაიარა და არა ცხადაძის.

მატჩზე საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთაგანი დავით კირკიტაძე მოვიდა და მის ამალაში სხვა ოფიციალური პირებიც იყვნენ. „სიონს“ ბოლნისის გამგეობა აფინანსებს, ანუ კლუბში საბიუჯეტო თანხები მოედინება და კირკიტაძეც სიონელთა შტაბისთვის მნიშვნელოვანი სტუმარი იყო.

შეხვედრას საქართველოს 17-წლამდელთა გერმანელი დამრიგებელი ჰეიტრ ცაკერიც ესწრებოდა, ლეპტოპი მუხლებზე დადო, მუშაობდა და დახარჩე მაყურებელთან ერთად არცთუ ხარისხიან ბურთაობას შეჰცქეროდა.

პირველი ტაიმიდან უპირატესობას „სიონი“ ფლობდა. ალავიძის ფლანგური ჯარიმის შემდეგ კოკა მაკუჩაძე ლამაზად ცდილობდა ბურთის „ბორჯომის“ კარში გადაგზავნას, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა — ეს იყო ერთადერთი მწვავე ეპიზოდი პირველ ტაიმში.

მეორე ტაიმის დასაწყისში კი „ბორჯომი“ კაცნაკლული დარჩა — არბიტრმა ლევან კვარაცხელიამ ორი გაფრთხილების გამო ველი საჯაია გააძევა — ისეთი ეპიზოდი იყო, როცა მსაჯს შეეძლო, დაინდოს ფეხბურთელი და მისი გუნდი, მაგრამ კვარაცხელიამ სხვანაირად განსაჯა.

მატჩის დასრულებას 20-25 წუთი აკლდა, როცა „სიონის“ მონოტონური შეტევები გამწვავდა, თუმცა რეალური საგოლე მომენტები ბოლნისელებს არ შეუქმნიათ. შეხვედრის მიწურულს კი კაცნაკლულმა „ბორჯომმა“ გამოიდო თავი და „სიონი“ მცირე ხნით საჯარიმო მოედანს მიაჯაჭვა.

ბოლო წუთზე ბორჯომელები კუთხურს ითხოვდნენ, მაგრამ კვარაცხელიამ „სიონის“ სასარგებლოდ ჩასტვინა, კარიდან დარტყმა დანიშნა. ბოლნისელებმა მეტოქის საჯარიმო მოედნამდე მიიტანეს ბურთი და... ალავიძემაც მატჩის გმირის გვირგვინი დაიდგა.



გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ბორჯომელთა არგენტინელ ახალწვეულს დარიო სებალეს (მარჯვნივ) ქართული დებიუტი ბოლო წამზე ჩაუმწარდა

თბილისი. 18 თებერვალი. 14 საათი. შევარდენი. 600 (ტევადობა 1 500)

### სიონი 1:0 ბორჯომი

| | |
|---|---|
| 1:0 ალავიძე (90) | |
| **სიონი:** ბათიაშვილი, სვანიძე, ლ. ჭელიძე, კობაური, რაქვიშვილი, ალავიძე, ხმალაძე, ვ. უგრეხელიძე, მიკუჩაძე, სირბილაძე, ბაჯელიძე *სათადარიგონი:* ბობლიაშვილი, ოქრომპირიძე, ტატიაშვილი, კორსანტია **მწვრთნელი:** კახა ცხადაძე | **ბორჯომი:** მამალაძე, ს. ბურნაძე, მესხი, საჯაია, გ. ჩხეტიანი, გაბისკირია, მემარნიშვილი, ბაქრაძე, შ. ჯიქია, გეწაძე (აფციაური 58), სებალე *სათადარიგონი:* მამარდაშვილი, ზარიშვილი, ჯანგიძე **მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე |
| **გაფრთხილება:** საჯაია (36, 54), მესხი (57), გაბისკირია (63), კობაური (66), ჭელიძე (77), რაქვიაშვილი (88) | |
| **გაძევება:** საჯაია (54) | |
| **მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი), მ. ელიკაშვილი, მ. ურუშაძე, ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი) | |
| **დამკვირვებელი:** ე. სილაგავა; **დელეგატი:** გ. ჯიშკარიანი | |

### პრესკონფერენცია

*სოსო ფრუიძე:* მოსამზადებელი ეტაპი ხელოვნურსაფარიან მოედანზე გავიარეთ და ეს ჩვენი პირველი შეხება იყო მინდორთან. რთული თამაში გამოდგა, მეტოქემ დამსახურებულად მოგვიგო, მსაჯებზე ლაპარაკი კი არ მსურს.

*კახა ცხადაძე:* მწვრთნელის შეცვლას შესაძლოა უარყოფითად ემოქმედა გუნდზე, მაგრამ ისიცაა, რომ ახალი მწვრთნელის მოსვლისას ფეხბურთელები განსაკუთრებულად მონდომებულები არიან. აქამდე ალავიძე არ ითვლებოდა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად, დღეს კი დაამტკიცა, რომ მას ეს შეუძლია. „ბორჯომი“ რომ კარგი გუნდია, საკუთარ თავზე „დინამოს“ მწვრთნელობისას გამოვცადე. დღეს დიდ უპირატესობას ვფლობდით და გავიმარჯვეთ. ისე კი, „სიონს“ რამდენიმე პოზიციაზე გაძლიერება სჭირდება და ამ საკითხზე ვმუშაობთ.

# 3:1 ორივეს სასარგებლოდ

## ტოპმიოლერმა ვიტ ჯორჯია ჩაინიშნა

მცხეთა. 18 თებერვალი. 14 საათი. არმაზი. 500 (ტევადობა 1 500)

### ვიტ ჯორჯია 3:1 ლოკომოტივი

| | |
|---|---|
| 0:1 ჟღენტი (10), 1:1 იმედაშვილი (16), 2:1 გელაშვილი (52), 3:1 ბერიაშვილი (73) | |
| **ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე (ებანოიძე 80), თ. კობიაშვილი, გველესიანი, ფეიქრიშვილი, გ. დათუნაიშვილი, დილმელაშვილი (ლ. რაზმაძე 76), იმედაშვილი, ზ. სახოკია (ბერიაშვილი 65), გელაშვილი *სათადარიგონი:* მიქაბერიძე, ჯაფარიძე, კვილინიძე, აბშილავა **მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე | **ლოკომოტივი:** ზ. ჩალაძე, მიხაილიდი, თუთბერიძე, ებრალიძე, ბახტაძე (ობგაიძე 46), თავბერიძე, ავალიანი, მ. ჟღენტი, პეტროსიანი (მეტრეველი 69), ფურთუხია (ალავერდაშვილი 57), ყენია *სათადარიგონი:* ზუხბაია, მენაბდე, ბარბაქაძე, ხორგუაშვილი **მწვრთნელი:** სოსო სირაძე |
| **გაფრთხილება:** თუთბერიძე (16) | |
| **მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ცირდავა (გულრიფში), ლ. სილაგავა (თბილისი) | |
| **დამკვირვებელი:** მ. ჭელიძე; **დელეგატი:** ნ. კაკულია | |

ილია ნანობაშვილი მცხეთიდან

**ცხრა-ათი** თვის წინ „ლოკომოტივმა“ ზედიზედ ოთხჯერ თუ მოუგო „ვიტ ჯორჯიას“, ახლა ნურას უკაცრავად: თქვენ წარმოიდგინეთ, ნამატჩევს რკინიგზელთა თავკაცი სოსო სირაძე კმაყოფილი იყო, თამაშის ხარისხმა დამანახა, რომ ამ ბიჭებისგან კარგი გუნდის გაკეთება შეიძლებაო.

...ლევან ყენია — ამ ბიჭს ჯერ ზედმეტად ნუ შევაქებთ, მაგრამ სათქმელი ვთქვათ: 15 წლის ფორვარდი ასაკით უფროსივით ირჯებოდა, ერთი-ორჯერ ლამაზი პასებიც გააკეთა და შეცვლაზე შესულ გიორგი ალავერდაშვილს ნაღდად მართებდა ერთ-ერთის გამოყენება, მაგრამ ნაზად დაარტყა.

რა თქმა უნდა, ყენია სასწაულმოქმედი არაა, არც 15 წლის ბავშვის შეუცვლელად თამაში უნდა იყოს კარგი ცხოვრებით გამოწვეული და სასწაული უნდა მომხდარიყო, გუშინ „ვიტ ჯორჯიას“ არ მოეგო.

არადა, სასწაულით კი დაიწყო — ლოკომოტიველმა მიხეილ ჟღენტმა მე-10 წუთზე ვიტელთა მცველების შეცდომით ისარგებლა, პირისპირ შეეყარა მეკარე გრიგოლ ბედიაშვილს და 0:1.

სათაზო მატჩში შინ გოლის გაშვება ორმაგად მტკივნეულია. ნესტორ მუმლაძის გუნდმაც გასატანად გაიწია და მალევე გაათანაბრა. პავლე დათუნაიშვილის ჩაკიდებულს დავით იმედაშვილმა ლაზათიანი თავური აძგერა — 1:1.

სხვათა შორის, იმედაშვილი მარცხენა ნახევარმცველად თამაშობდა, მას კი ზურგს ოლეგ გველესიანი უმაგრებდა.

მცხეთის „არმაზს“ რა „ფიანდაზივით“ მინდორი აქვს, კი იცით, მაგრამ ტალახ-წუმპის მიუხედავად, მთვლემარე თამაში არ ყოფილა — პირიქით, აზრიანი კომბინაციები საკმაოდ იყო. აი, ტემპი კი...

პირველ ტაიმში ვიტელებს ერთხელ კიდევ ჰქონდათ გასატანი, მაგრამ ნიკა გელაშვილმა ვერ ივარგა, მეორე ნახევარი კი უფრო საინტერესო სანახავი გამოდგა — „ვიტ ჯორჯია“ თითქოს უფრო მხნედ უტევდა; აქტიურმა გელაშვილმა ზაზა სახოკიას პასი ვერ შეიშნო. და ურეალურესი მომენტი გააცუდა, მაგრამ მერე მაინც იხეირა: სამ მეტოქეს გასცდა და საჯარიმოს მისადგომებიდან ააფართხალა ბურთი ბადეში. ისე კი, ზვიად ჩალაძეს უკეთესად გარჯა მართებდა — ასეა თუ ისე, ანგარიში 2:1 გახდა.

„ლოკომოტივს“ დაღლა დაეტყო, მცველები ხშირად ცდებოდნენ, „მწვანეებს“ კი მომენტები მოუმრავლდათ და გული საგულეს ჩაიყენეს: 73-ე წუთზე დავით დილმელაშვილმა უზადო პასით გელაშვილი ჩალაძეს შეატოვა, ვიტელთა ფორვარდის დარტყმული ძელს მოხვდა და იქვე მყოფმა გიორგი ბერიაშვილმა ცარიელ კარში შეაგდო — ესეც 3:1.

და ერთიც: მატჩს კლაუს ტოპმიოლერის ძმა, ჰაინცი ესწრებოდა და, როგორც შევიტყვეთ, ორი ვიტჯორჯიელიც ჩაწერა ბლოკნოტში — იმედაშვილი და გელაშვილი...

ზესტაფონი. 18 თებერვალი. 14 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — დინამო

გადაიდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლ სტარი 2006 ჰიუსტონი. 17-19 თებერვალი

*ამ უქმეებზე სამხრეთტეხასურმა ჰიუსტონმა ოლ სტარის 55-ე სანახაობას უმასპინძლა „როკიტსის“ დარბაზ „ტოიოტა სენთერში“. 3 დღეზე გაჭიმული შოუს დასკვნითი და მთავარი თავი, თვითონ ყველა ვარსკვლავთა შოუმატჩი, დღეს გამთენიისას გაიმართა და მასზე ხვალ მოგახსენებთ, დღეს კი გთავაზობთ ძველი ვარსკვლავის, 90-იანი წლების ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშის, სკოტი პიპენის წინასაოლსტარო ნაუბარს. 1994 წლის ოლსტარმატჩის უძვირფასესი მოთამაშე აქ ოლ სტარის რაობასა და გამორჩეულ მობურთალეებზე საუბრობს*

## ძველი ვარსკვლავი ახლებზე

## მოდით, ვნახოთ დასავლეთი

ოლსტარ-უიქენდი მოთამაშეებისთვის მხიარულებისა და მღელვარების ნაზავია. ამ თამაშის გასართობი შინაარსის მიუხედავად, მასში მონაწილეობა, უფრო კი ვარსკვლავთაგან გამორჩევა და აქ მოწვევა, ნებისმიერისთვის დიდი პატივია. ეს რაღაც საზომივით და გამოწვევასავითაა და თუ ერთხელ მაინც აგირჩიეს, მერე და მერე უფრო გიმძაფრდება უმაღლეს დონეზე თამაშისა და ერთი წლის შემდეგ ელიტარულ მოთამაშეებში დაბრუნების მოთხოვნილება.



ოლ სტარი ჩემთვის ყოველთვის იყო, რაღაც განსაკუთრებული სამიზნე და ერთწლიანი სათამაშო პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე რეალური შეფასება. ჩვენ, კალათბურთელებს ეს გვეხმარება, საკუთარ თავს ადგილი მოვუძებნოთ მოთამაშეთა კლასიფიკაციის გრძელ სიაში. მოკლედ, ასეა...

ყოველთვის ძნელია, გამარჯვებული გამოიცნო. აღმოსავლეთი თუ დასავლეთი? ორივე გუნდი გადატვირთულია ნიჭიერი ბიჭებით, მაგრამ, ვფიქრობ, აღმოსავლეთს ძალიან დააკლდება ჯერმენ ონილი, რომელიც ტრავმის გამო ვერ თამაშობს. იმის თქმას არ ვცდილობ, მისი ყოფნა-არყოფნა შედეგზე გავლენას მოახდენს-მეთქი. უბრალოდ, საინტერესო იქნებოდა ჯერმენის ყურება და, აღმოსავლეთის სასტარტო ხუთეულიც მასთან ერთად, უფრო დაბალანსებული იქნებოდა. თუმცა აღმოსავლელებს მაინც რჩებათ კარგი მეფარეები — შაკი და ბიგ ბენი, რომელთა წინააღმდეგ დასავლეთი იაო მინს, ტიმ დანკანსა და კევინ გარნეტს გამოიყვანს.

მე უპირატესობას მაინც დასავლეთს მივცემდი კობი ბრაიანტის გამო. მან ძალიან ზმაურიანად გამოიარა სეზონის პირველი ნახევარი, კარგ ფორმაშია და თანაც მისთვის სულერთი არასდროს ყოფილა ისეთი წარმოდგენები, როგორც ოლ სტარია. ის ვარსკვლავებშიც ყოველთვის გამოირჩეოდა და ახლაც არ გააწბილებს საკუთარ „მეს“. დარწმუნებული ვარ, მას სურს, თავის ტიტულატურას ამ თამაშის უძვირფასესი მოთამაშის წოდებაც შემატოს. კობიმ იცის ამ ტიტულების გემო, 2002 წელსაც გახდა უძვირფასესი, ამასთან, წინ კიდევ ნახევარი სეზონია, რომელიც რეგულარული ჩემპიონატის უძვირფასესი მოთამაშის გამოვლენით მთავრდება. კობი ფიქრობს ასეთ რამეებზე...

...თუ კობის არ წაუვიდა საქმე ისე, როგორც მას სურს, დასავლეთს კიდევ არაერთი რეალური კანდიდატი ჰყავს, მაგალითად, ტონი პარკერი. მიუხედავად იმისა, რომ პარკერისთვის ეს ოლ სტარი პირველია, მან მაინც კარგად უნდა ითამაშოს, მით უმეტეს, ოლ სტარისთვის დამახასიათებელი ღია თამაში და სწრაფი ტემპი სწორედ პარკერის სტიქიაა. მთავარია, ბურთი არ მოაკლდეს. კიდევ ერთს გამოვარჩევდი, შონ მარიონს, რომელიც მესამედ გაერია ვარსკვლავებში და, წესით, ყველა კომპლექსი მოხსნილი უნდა ჰქონდეს. ის ყოველთვის სხვებზე ნაკლებად ჩანს, მაგრამ ძალიან მრავალფეროვანი მოთამაშეა, რადგან კარგი თამაშისთვის ბურთი არ სჭირდება. მას შეუძლია, თავად მოიპოვოს ბურთი და ამაში ის ბევრზე წინ დგას. შონს პასები არ მოაკლდება, ფინიქსელი თანაგუნდელი სტივ ნეში მასზე უკეთეს პარტნიორს არ დაუწყებს ძებნას. იმედია, ისინი ერთდროულად იქნებიან მოედანზე.

დასავლეთის უპირატესობაა მოედანიც, მით უფრო, რომ სასტარტოში ორი ჰიუსტონელი ჰყავს — ტრეირი მაკგრეიდი და იაო მინი. ხომ იცით, ადგილობრივ ბიჭებს ყოველთვის გამორჩეული მხარდაჭერა, მონდომება და შანსი აქვთ, უძვირფასესი მოთამაშის ტიტული ქალაქში დატოვონ. იაო უკვე მომწიფდა ასეთი რამეებისთვის, დროა დაამტკიცოს, რომ პირველობა შეუძლია. მთავარია, თავდაჯერება და მიზანი, თორემ ამ ბიჭებს ბევრი ბურთის ჩაყრა და ლამაზად ჩატენვა ნბა-ში მოსვლამდეც შეუძლიათ. ოლ სტარი ერთგვარი ფსიქოლოგიური ბიჯიცაა. თუ გინდა რეალურ სიმაღლეებს შესწვდე, საკუთარ გონებაში უნდა გადალახო ამგვარი ბარიერები.

ბევრს აღარ ჩამოვთვლი და არც იმას ვიტყვი, ამის ნაცვლად ის იმსახურებდა მონაწილეობასო. მოდით, დავუცადოთ და ვნახოთ. სიამოვნების მოლოდინიც ოლ სტარის ნაწილია. პირადად მე, კობი — ლებრონის ჯახის ნახვა მაინტერესებს. ეს ბიჭები დღეს სულ სხვა სიმაღლეზე დაფრინავენ.




AFP ჰიუსტონიდან

თვით თვითკმაყოფილება კობი ბრაიანტი

## ვარსკვლავური ანომალიები

### მცირე ოლ სტარი

**ოლსტარუქმეების** პირველი შოუ ჯეელმა ვარსკვლავებმა დადგეს. 17 თებერვალს, პარასკევ საღამოს „ტოიოტა სენთერში“ ერთმანეთს გამორჩეული ახალბედები და მეორეწლიანები შეეჯახნენ და, როგორც ყოველთვის ხდება, პირველწლიანებს, სწორედ, ის ერთწლიანი გამოცდილება დააკლდათ ნავსის გასატეხად. ორ 20-20 წუთიან ტაიმად გაყოფილი ეს სადლაბუცო მატჩი მეორეწლიანებმა 106:96 მოიგეს.

გამარჯვებულებს ფილადელფიელმა ანდრე იგუდალამ ულიდერა. მან 30 ქულა მიითვალა და მატჩის უძვირფასესი მოთამაშის ჯილდოც დამსახურებულად შემართა. საზოგადოება იგუდალასგან ნაკლებად ელოდა ქულათა ნიაღვარს. „ფილადელფიაში“ ალენ აივერსონისა და კრის ვებერის თანაგუნდელი დიდი ბომბარდირული თვისებებით არ გამოირჩევა, მაგრამ თავად ანდრემ ეს მოსაზრება მაშინვე გააცამტვერა — ოდნავი თავისუფლება იგრძნო, მხრებიდან ჩამოიგდო მხოლოდ დაცვაში საჭირო მეორეხარისხოვანი მოთამაშის სტატუსი და თავის გემოზე ინავარდა. ნამატჩევს ამბობდა, ერთი-ორი მართლა კარგი რამ ჩატენვების კონკურსისთვისაც შემოვინახე, თორემ დღეს რაც გაჩვეთ, ეს ყველაფერი ხომ ძველი და გაცვეთილიაო.

### ჩატენვების კონკურსი

**იგუდალამ** მართლაც შემოინახა ერთი ძალიან ლამაზი ჩატენვა და ერთი-ორი ცდის შემდეგ ზღაპრულადაც გააკეთა ეს, მაგრამ ამ კონკურსში გამარჯვება მაინც სხვას დარჩა. ეს სხვა, „ნიუ იორკ ნიქსის“ სათადარიგო გამთამაშებელი, ახალბედა ნეიტ რობინსონია, რომელიც იატაკიდან სულ რაღაც 175 სანტიმეტრს(!!!) აითვლის.

ამ ჯუჯამ, საერთოდ, როგორ უნდა ჩატენოს ბურთი? პირველ რიგში ეს კითხვა დაგვებადება, მაგრამ ამერიკელებისთვის ეს ნამდვილად არაა სენსაცია. ოკეანგაღმა კარგად ახსოვთ სპად ვები, რომელიც მხოლოდ 170 სანტიმეტრი იყო, მაგრამ 1986 წელს ისე ტრიალ-ტრიალით იფრინა, პატივცემულ ჟიურის სულ მიავიწყა ჩატენვების ღმერთები — მაიკლ ჯორდანი და დომინიკ უილკინსი.

თურმე ნეიტ რობინსონსაც ახსოვდა სპად ვები და ჰიუსტონში ასისტენტობაც მას სთხოვა. იგუდალამ და რობინსონმა კონკურსის ნახევარფინალში იოლად ჩამოიცილეს ორი სხვა მონაწილე — ჰაკიმ უორიკი და კონკურსის შარშანდელი გამარჯვებული ჯოშ სმიტი. ფინალში კი რობინსონმა აი, რა გააკეთა:



AFP ჰიუსტონიდან

### სამქულიანების კონკურსი

**ამ ოლ სტარზე** სენსაციები კი არა, ლამის ანომალიები მოხდა. ჩატენვებში ჯუჯამ იყოჩაღა, სამქულიანებში კი გოლიათმა იპირველა. „დალას მავერიკსის“ ახმახმა ფორვარდმა, 213-სანტიმეტრიანმა დირკ ნოვიცკიმ ფინალში აჯობა ჯილბერტ არენასსა და რეი ალენს და კონკურსების ისტორიაში ყველაზე მაღალი გამარჯვებული გახდა. ამ მხრივ, ძველი რეკორდი 208-სანტიმეტრიან თეთრ გოლიათს, ლეგენდარულ ლარი ბერდს ეკუთვნოდა.



ბადრი კეთილაძის ფოტო

# მე ის ვატო აღარა ვარ

## ნაცვლიშვილმა ტაქტიკა შეცვალა

*ვახტანგ ნაცვლიშვილი ისევ საქმეშია, ანუ კალათბურთშია. ორწლიანი შესვენების შემდეგ ის გასულ ხუთშაბათს დაუბრუნდა მოედანს და საფრანგეთის „ასთა თასის" მატჩში 11 წუთში 4 ქულა შეამშვლა „დიჟონს". ეს თავისთავად ცოტაა ნაცვლიშვილის გაქანებისა და ამბიციის მოთამაშისთვის, თუმც თავად ვატომაც იცის, რომ ორწლიანი შესვენების შემდეგ ციდან ვარსკვლავებს მაშინვე ვერ მოწყვეტს. ჩემი თამაშით საკმაოდ კმაყოფილი ვარ, მერე რა, რომ მხოლოდ 4 ქულა ჩავაგდე, — გვითხრა ვახტანგ ნაცვლიშვილმა გუშინ, დიჟონში რომ შევეხმიანეთ...*

— დიდი ხანი არ მითამაშია, მწვრთნელმა თავიდან მეორე მეოთხედში შემიშვა 3 წუთით, შემდეგ კი სირენამდე 8 წუთით ადრე ჩავერთე თამაშში და ბოლომდე მოედანზე ვიყავი. დასრულებამდე წუთით ადრე საჭირო ორქულიანი ჩავუგდე „ლემანს", „დიჟონი" 66:64 დავაწინაურე, მაგრამ საბოლოოდ დრამატულ ფინალში ქულით დავმარცხდით. სულ 4 ქულა დამიგროვდა, მაგრამ ამ ეტაპზე მთავარი მოედანზე დაბრუნება იყო და მეც კმაყოფილი ვარ.

**— თქვენ ყოველთვის გამოირჩეოდით ფარქვეშ კარგი თამაშით, ამ მატჩში კი მხოლოდ 2 მოხსნა დაგიგროვდათ...**

— ხომ ვთქვი, რომ შედეგიანობას ამ ეტაპზე არანაირ ყურადღებას არ ვაქცევ. 2 წელი ძალიან ბევრია, მე კი სწორედ ამდენი ხანი გამიცდა ფილტვის ოპერაციის გამო. ჰოდა, ეს დრო რომ უქმად იქნები, 25 კილოგრამს მოიმატებ და მერე ისევ დაიკლებ, ძნელია ძველებურად ითამაშო. ამ მატჩამდე მხოლოდ ერთი კვირა ვვარჯიშობდი სრულფასოვნად და აქედან გამომდინარე, უკმაყოფილების გრძნობას არ განვიცდი.

**— ორი წელი მართლაც ბევრია. სანამ მოედანზე გახვიდოდით, რამდენად თავდაჯერებული იყავით?**

— ვიცოდი, რომ თავს არ შევირცხვენდი, თუმც ძალიან მაგრად ვითამაშებ-მეთქი, არც მიფიქრია. გამოცდილება დამეხმარა, რათა ორწლიანი პაუზის შემდეგ ასეთ მაღალი დონის მატჩში მიმეღო მონაწილეობა. ადრე ასეთ რამეს ვერ მოვახერხებდი, მუხლების ტრავმის გამო რამდენჯერმე ჩამოვშორებივარ მოედანს და ფორმის აღსადგენად დიდი ხანი დამჭირვებია.

**— რაკი დაბრუნდით, მალე ალბათ ფორმაშიც შეხვალთ...**

— ისეთ ფორმაში, თავის დროზე რომ ვიყავი, ალბათ ვეღარ შევალ. იყო დრო, როცა ღამე ვერ ვიძინებდი ნერვიულობით, თუ 18 ქულას, ან ნაკლებს დავაგროვებდი. 20 ქულა იყო ჩემი მინიმუმი ნებისმიერ მეტოქესთან. სადაც კი მითამაშია, ყველგან ლიდერი ვიყავი, მაგრამ ახლა სხვა დროა, მე უმძიმესი ტრავმა გადავიტანე და თანაც 30 წელსაც გადავაბიჯე. ახლა იმაზე ვფიქრობ, როგორმე ტრავმის გარეშე ჩავატარო მატჩები, რადგან კარიერის ნაადრევად დასრულება არ მინდა. შემიძლია, მთელი ძალით ვითამაშო და ასე ალბათ მხოლოდ ერთ თვეს გავატან. უკვე ფსიქოლოგიურად შევამზადე ჩემი თავი, რომ მოედანზე ერთპიროვნული ლიდერი აღარ ვიქნები.

**— ნაკრებში დაბრუნებაზე რაღას იტყვით?**

— მე რომ მოედანს დავუბრუნდი, „დიჟონის" დაჟინებული მოთხოვნის გამო მოხდა. ეს გუნდი, სანამ მე ტრავმას მივიღებდი, საფრანგეთის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი იყო და ახლა იმიტომ მიმიწვია, რომ ჩემი დახმარება უნდა. იმედი მაქვს, არც საქართველოს ნაკრების მწვრთნელი იტყვის ჩემს დახმარებაზე უარს და მეც შევეცდები, ყველანაირად გამოვადგე ჩვენს ეროვნულ გუნდს. ვფიქრობ, ჯერ კიდევ შემიძლია, ნაკრებს დახმარება გავუწიო, მოედანზე მეტად სარგებლიანი ვიქნები, ვიდრე სხვა ამპლუაში.

**— საქართველოს კალათბურთის ფედერაციასთან ურთიერთობა ხომ არ გაგირკვევიათ, კვლავ ითვლებით ამ ორგანოს ვიცე-პრეზიდენტად?**

— ფედერაციიდან ჯერ არავინ შემხმიანებია, მაგრამ ამ დღეებში ალბათ ყველაფერი გადაწყდება. „დიჟონში" თამაშს და საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში საქმიანობას ერთდროულად ვერ შევძლებ. ამის გამო პოსტის დატოვება მომიწევს.

**— „დიჟონთან" კონტრაქტი როდის გააფორმეთ და რა პირობებით?**

— ძველ კონტრაქტს ჩემი ტრავმიანობის პერიოდში თავისთავად ვადა გაუვიდა და „დიჟონმა" გასულ ორშაბათს გამიფორმა ახალი ხელშეკრულება, რომელიც ძალაში მომავალი სეზონის ბოლომდეა.

**— მომდევნო მატჩში ალბათ მეტი ხნით ითამაშებთ...**

— ხუთშაბათს საფრანგეთის ჩემპიონატში პარიზის „რასინგს" ვეთამაშებით, რომელსაც, მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი გორდონ ჰერბერტი წვრთნის. შესაბამისად, ჩემთვის ეს არ იქნება რიგითი მატჩი და იმედია, მწვრთნელიც მეტი ხნით მათამაშებს.

**ირაკლი პერტაია**

ჭიდაობა

# ოქროს ამბავი ტელეფონით

## დავით პოლოსიანმა ირანული უკრაინა კიევში ამოიღო

*საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები სეზონის პირველ საერთაშორისო ტურნირზე უმედლოდ დარჩა. ამ უქმეებზე ირანში, ჩრდილოეთ მაზანდარანის პროვინციის მთავარქალაქ სარში მსოფლიოს თასი გათამაშდა*

**ჭიდაობის** საერთაშორისო ფედერაციის მიერ შერჩეულ ექვს უძლიერეს ნაკრებს შორის საქართველოც მოხვდა, თუმცა ჩვენმა ფედერაციამ და ნაკრების მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ ერთად გადაწყვიტეს, ამ ეტაპზე ეროვნული გუნდის პირველი ნომერები ხალიჩაზე არ გაეშვათ და ეს ტურნირი კანდიდატებს დაუთმეს. მსოფლიოს თასზე ზაზა თურმანიძეც არ წასულა. გადახალისებული შემადგენლობა თამაზ ბენდიანიშვილმა ჩაიყვანა სარში.

ქართული შვიდეული B ჯგუფში კუბასა და უკრაინასთან ერთად განთესეს. ფილას ოფიციალური ვებგვერდის გადამკიდეთ, მსოფლიოს თასის შედეგების ძებნა ირანულ ვებგვერდებზე მოგვიხდა. პირველ ტურში ქართველები უკრაინასთან 8:18 დამარცხდნენ. ანგარიშიდანაც ჩანს, რომ უკრაინელთა უპირატესობა აშკარა იყო. ამ წყაროს ცნობით ქართველებმა მცირე წინააღმდეგობის გაწევაც ვერ შეძლეს. თასის შანსი ფაქტობრივად იქვე დაიკარგა და იმედად კუბის ძლევა და მესამე ადგილისთვის ბრძოლის გაგრძელებაღა დარჩა, თუმც...

ირანში უძლიერესი შემადგენლობით ჩასულმა კუბელებმა კიდევ უფრო დიდი სხვაობით გვაჯობეს — 20:6.

B ჯგუფის გადამწყვეტი ბრძოლა უკრაინელებმა და კუბელემა გამართეს. კუბამ 18:8 იმარჯვა და პირველ ადგილზე გავიდა.

A ჯგუფში მაქსიმალური ქულები მასპინძელთა ნაკრებმა დააგროვა. პირველი ადგილის ბედი იქაც ბოლო ტურში გადაწყდა! ირანმა მასსავით წაუგებელ რუსეთს 14:12 სძლია, მაგრამ რამდენად სუფთა ბრძოლაში, ძნელი სათქმელია. თავად ირანელ გულშემატკივრებშიც კი გამოჩნდნენ ისეთები, თავიანთი ნაკრების რუსეთთან გამარჯვებას უსმართლოს რომ უწოდებდნენ.

გადამწყვეტი შეხვედრები წუხელ გვიან ჩატარდა. ირანმა კუბას 16:9 მოუგო და მსოფლიოს თასიც დაიტოვა. მესამეზე უკრაინელები გავიდნენ. მათი და რუსების შეხვედრა 14:14 დასრულდა და გამარჯვებული ტექნიკური ფოლების შეჯამებით გამოვლინდა. საქართველოს და თურქეთს მეხუთე ადგილისთვის უნდა ეჭიდავათ. იჭიდავებდნენ კიდეც, მაგრამ... ის, რაც ჩვენ გვაინტერესედა, გახარებულ ირანელებს ნაკლებად ადარდებდათ და მით უმეტეს, იქაურ ვებოსტატებს.

ახალგაზრდებით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრები სარის ხალიჩაზე რომ გამოდიოდა, კიევში თავისუფლად მოჭიდავეთა კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირზე სამი ქართველიც ჭიდაობდა. ზურაბ მახარაშვილი (60კგ), დავით პოლოსიანი (60კგ) და ლერი ქეთიშვილი (84კგ) უკრაინაში მარლენ ოსეყმაშვილმა ჩაიყვანა. თქმაც არ უნდა, არც ეს ტურნირი გახსენებია ფილას ოფიციალურ ვებგვერდს და ალბათ შედეგსაც ვერ შევიტყობდით, უკრაინაში მყოფ ქართველ მოჭიდავეებს საქართველოში თვითონ რომ არ გადმოერეკათ.

„ახლახან შეგვატყობინეს, რომ დავით პოლოსიანმა ყველა შეხვედრა მოიგო და ჩემპიონი გახდა" — გვითხრა ბაკურიანში, ნაკრების ლიდერებთან ერთად მყოფმა მთავარმა მწვრთნელმა ზაზა თურმანიძემ.


გურამ წიბახაშვილის ფოტო

ბოლოს ფილასგან გაუშუქებელ ერთ ტურნირზეც, რომელიც ასევე ამ უქმეებზე ჩატარდა. საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ფრანგულ კრეტეიში თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ჩავიდა. ბეგი დარჩიამ თერთმეტი შეგირდი გამოსცადა. შედეგები კი გვიან ღამემდე არც საქართველოში იცოდა ვინმემ და არც ინტერნეტში შეეტანათ.

**ოთარ მაღლაკელიძე**





ჩეტილ ანდრე ამოდტი

AFP ტურინიდან

AFP ტურინიდან

**მთის თხილამურობა**

სუპერგიგანტი

1 ჩეტილ ანდრე ამოდტი (ნორვეგია) — 1.30,65
2 ჰერმან მაიერი (ავსტრია) — 1.30,78
3 ამბროსი ჰოფმანი (შვეიცარია) — 1.30,98

# ბებერი ვიკინგის თხილამურებიც ხნავს
## მაიერს კი გაზეთის კითხვა მოუნდა

ტურინში მთის თხილამურობის კაცთა შეჯიბრებები არანაირ ლოგიკას და პროგნოზს არ ექვემდებარება. თავიდანვე მოულოდნელობებით დაიწყო და ჯერჯერობით ასევე გრძელდება. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში ავსტრიელები არიან — ჯერ მიხაელ ვალჰოფერი, შემდეგ ბენჯამინ რაიხი ჩაფლავდნენ და მერე ვერც ლეგენდარულმა „ჰერმინატორმა“ ვერ შემოგვთავაზა რაიმე განსაკუთრებული.

ავსტრიელებს სუპერგიგანტში დიდი იმედი ჰქონდათ, რომ ბოლოს და ბოლოს შეძლებდნენ ნანატრი ოქროს მოგებას. ეს ხომ ჰერმან მაიერის საყვარელი სახეობაა, თუმც მათ ოცნებას ახდენა არ ეწერა.

საბოლოოდ სანახევროდ პენსიაზე გასულმა და წლეულს ტრავმებით განაწამებმა ჩეტილ ანდრე ამოდტმა მოიგო. სწორედ ამაზე ამბობენ, ბებერი ხარის რქებიც ხნავენო. ვიკინგმა მართლაც დიდი გმირობა ჩაიდინა. არადა, მისი გამოსვლა ტრავმის გამო საერთოდ ეჭვქვეშ იყო და მან, აკი, კომბინაციაც გამოტოვა.

ეს ამოდტის მესამე ოლიმპიური ოქროა სუპერგიგანტში, სულ კი მას ზამთრის უმთავრეს ფორუმებზე ოთხჯერ უმარჯვია. ამით ის პირველი სამთო მოთხილამურედ იქცა, რომელმაც ოლიმპიადებზე ოთხი უმაღლესი ხარისხის მედლის მოპოვება შეძლო.

„ეს გასაოცარია... უკვე ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვარ... თან ალბათ ყველაზე ასაკოვანი ოქროს მედალოსანი“ — აღფრთოვანებული იყო საკუთარი მიღწევით ამოდტი.

მაიერმა კი ყველაფერი ჩემი ბრალი იყოო: „საშინლად გავიარე ტრასა, მხოლოდ ბოლო მონაკვეთში გამოვედი ისე, როგორც მეკადრებოდა. ტრასის შუაწელზე კი იმდენად ნელა მივსრიალებდი, რომ გაზეთის წაკითხვაც კი შემეძლო... ახლა ეს ვერცხლი გულდასაწყვეტი კია, მაგრამ სიბერეში რომ დავხედავ, ალბათ მაინც მესიამოვნება“ — მაინც საკმაოდ მშვიდი იყო „ჰერმინატორი“.

შაბათს არც სკანდალის გარეშე ჩაუვლია. საქმე იმაშია, რომ სუპერგიგანტის პირველი ცდა დილით ჩატარდა, მაგრამ ძლიერმა ქარბუქმა ორგანიზატორები აიძულა, შეჯიბრი გადაედოთ, ხოლო მანამდე გამოსული სპორტსმენების შედეგი გაეუქმებინათ. არადა, ამ დროისთვის ფრანგმა პიერ-ემანუელ დალცინმა მართლაც კარგად გაიარა ტრასა და ლიდერიც იყო. განმეორებით დაწყებული შეჯიბრის შემდეგ კი მან ძალიან ცუდი შედეგი აჩვენა და რაღა გასაკვირია, რომ ფრანგულმა დელეგაციამ პროტესტი გამოთქვა. თუმც გალთა პრეტენზიებს ყურიც არავინ ათხოვა.

ცალკე თემაა ამერიკელი ბოდე მილერიც, რომელიც საზიზღრად გამოიყურება ტურინში — აი, ახლაც საერთოდ ვერ მივიდა ფინიშამდე. ჯერჯერობით ვერც ავსტრიელები იგებენ, თორემ მილერს რა გააჩუმებდა — თავის წარუმატებლობებს კვლავ თხილამურობის ფედერაციის ავსტრიელებისადმი ლოიალურობას დააბრალებდა. ამჯერად ამერიკელს ეს საბაბიც აღარ აქვს თავის გასამართლებლად და იძულებულია გაჩუმდეს.

**ქახა ლომაშვილი**

**მთის თხილამურობა**

კომბინაცია

1 იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) — 2.51,08
2 მარლის შილდი (ავსტრია) — 2.51,58
3 ანია პიერსონი (შვედეთი) — 2.51,63

# და ძმისთვისო, ისტორიისთვისო
## იანიცას ძმის ვერცხლი საკუთარ ოქროს ურჩევნია

იანიცა კოსტელიჩმა ისტორიაში ადგილი სამუდამოდ დაიმკვიდრა. ნორვეგიელი ჩეტილ ანდრე ამოდტის ტრიუმფიდან ნახევარ საათში ხორვატმა დაამტკიცა, რომ არანაკლებ დიდი მოთხილამურეა — მეოთხე ოლიმპიური ოქროს მოიგო და ვიკინგის რეკორდი გაიმეორა. იანიცას კიდევ შეუძლია ამ რეკორდის გაუმჯობესება — სკანდინავისგან განსხვავებით, ხორვატი გაცილებით უნივერსალური მოთხილამურეა.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები აქამდე უკვე იყვნენ შვეიცარიელი ვრენი შნაიდერი, იტალიელი დებორა კომპანიონი და გერმანელი კატია ზაიცინგერი. კოსტელიჩი შაბათის ტრიუმფის შემდეგ ამ ლეგენდარულ სამეულზე მაღლა დადგა და სამთო მოთხილამურეთათვის ახალი ზღვარი დააწესა. თვითონ ხორვატი საკუთარ რეკორდს საკმაოდ გულგრილად უყურებს:

„კარგი კია რეკორდის დამყარება, მაგრამ გარკვეული პერიოდის მერე, ვინმე მაინც გააუმჯობესებს.“

არადა, იანიცასთვის ამის მიღწევა იოლი სულაც არ ყოფილა. ხორვატს ტრავმა აწუხებდა და ამის გამო ოთხშაბათს სწრაფდაშვებაშიც არ მონაწილეობდა. ბოლომდე მზად ის არც შაბათს იყო, მაგრამ, ამის მიუხედავად, მაინც გავიდა ტრასაზე და ყველაზე ძნელ დისციპლინაში — კომბინაციაში იმარჯვა, რითაც სოლტ ლეიკ სიტიში მიღწეული გაიმეორა.

„როცა შეუძლოდ ვარ, მაშინ ყოველთვის კარგი შედეგები მაქვს. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ თავს ძალას ვატან და ამის გამო კონცენტრაციაც მემატება“ — თქვა კოსტელიჩმა.

ცალკე საუბრის თემაა გარემო პირობებიც — ამინდმა მნიშვნელოვანი კორექტივები შეიტანა ორგანიზატორთა გეგმებში. მთელი უქმეები ძლიერი ქარბუქი იყო, რამაც მოთხილამურეებს ცხოვრება გაურთულა. კვირას კი, საერთოდ, გადაიდო ქალთა შეჯიბრი სუპერ-გიგანტში.

კომბინაციაშიც მედლები პარასკევს უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ ქარბუქის გამო გადაიდო სწრაფდაშვებაც და მოთხილამურეებმა მხოლოდ სლალომის ორი ცდა მოილიეს.

ასევე უნდა აღინიშნოს ტრასის სირთულეც — ვარჯიშების დროს აქ უკვე რამდენიმე მოთხილამურემ „მოასწრო“ დამტვრევა და ამის გამო სწრაფდაშვების ცდა სუპერგიგანტის ტრასაზე ჩაატარეს.

როგორც ხედავთ, თითქოს ყველაფერი კოსტელიჩის წინააღმდეგ იყო, მაგრამ... ხორვატმა მაინც ყველაზე სტაბილურად ისრიალა. სლალომის შემდეგ ის მეორე ადგილზე გავიდა და, ერთი შეხედვით, კატასტროფულად (0,46 წამს) აგებდა მარლის შილდთან.

ხორვატი არც ამას შეუშინებია — მან, მართლაც, უდიდესი ალმაფრენით ჩაატარა სწრაფდაშვების ცდა და საბოლოოდ შილდს 0,50 წამით მოუგო. კოსტელიჩს ვერც მისმა მთავარმა მეტოქე ანია პიერსონმა მოუხერხა რამე.

ამ გამარჯვებით კოსტელიჩმა კიდევ ერთი მიღწევა გაიმეორა, ამჯერად — ძმასთან ერთად. მოგეხსენებათ, სამიოდე დღის წინ იანიცას ძმამ ივიცამ კომბინაციაში ვერცხლი მოიგო. ჰოდა, კოსტელიჩები 1980 წლის შემდეგ პირველი და-ძმაა, რომლებმაც ერთ ოლიმპიადაზე შეძლეს მედლების მოგება. მანამდე ეს ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადაზე ლიხტენშტეინელმა ჰანი და ანდრეას ვენცელებმა შეძლეს.

„ივიცას მედალი უფრო მიხარია, რადგან ეს მისთვის უფრო მეტს ნიშნავს“ — ალბათ, ყველას ახსოვს, როგორ ემოციურად აღნიშნა დამ ძმამ ივიცას ვერცხლი.

იმედგაცრუებულია პიერსონი, ბრინჯაოს წარუმატებლობად მიიჩნევს. „მე ჩემპიონობა მინდა და არა ბრინჯაო“ — ანაცხადებს შვედი. უნდა მაგრამ სადაა...

**ქახა ლომაშვილი**





იანიცა კოსტელიჩი

AFP ტურინიდან

AFP ტურინიდან

# ტურინი ბიორნდალენს არ წყალობს

**ბიატლონი**

**ქალები**

გამოდევნება 10 კმ

1 კატი ვილჰელმი (გერმანია) — 36.46,3 (0+0+1+0)
2 მარტინა გლაგოუ (გერმანია) — +1.13,6 (1+1+0+0)
3 ალბინა ახატოვა (რუსეთი) — +1.21,4 (0+1+0+0)

**კაცები**

გამოდევნება 12,5 კმ

1 ვინსენ დეფრანი (საფრანგეთი) — 35.20,2 (0+0+0+2)
2 ოლე-ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) — +0.02,7 (0+1+1+1)
3 სვენ ფიშერი (გერმანია) — +0.15,6 (0+2+2+0)

როგორც იქნა, კატი ვილჰელმმა გაამართლა მასზე გაცემული ავანსები. დღესდღეობით უძლიერეს ბიატლონისტ ქალად მიჩნეულმა გერმანელმა ტურინში პირველი ოქრო მოიგო. არადა, ყველასთვის მოულოდნელად, პირველ ორ შეჯიბრში ის ძალიან ცუდად გამოვიდა.

საერთოდ, ვილჰელმზე და, ზოგადად, ქალ ბიატლონისტებზე გერმანელები დიდ იმედებს ამყარებდნენ, კატის კი, საერთოდ, გახსნის ცერემონიალზე მედროშეობა ხვდა წილად.

ეს მოლოდინი ვილჰელმმა მხოლოდ გასულ შაბათს გაამართლა — დიდებულად გაიარა მთელი ტრასა, თითქმის უნაკლოდ ისროლა და მეტოქეებს საბოლოოდ მთელი წუთით მოუგო, რაც კოლოსალური სხვაობაა.

გერმანელმა თავიდანვე დაიწყო ლიდერ ფრანგ ფლორენს ბევერელ-რობერთან 19-წამიანი ჩამორჩენის აღმოფხვრა და ეს მალე მოახერხა. პირველი სროლის შემდეგ წინ გაიჭრა და ამის მერე მისი დამწევი უკვე აღარავინ იყო. ვილჰელმი სტაბილურად ზრდიდა თავის უპირატესობას, რის გამოც ტრასის უკანასკნელი მონაკვეთი ყოველგვარი დაძაბვის გარეშე გაიარა, ფინიშზე კი, საერთოდ, დროშის ფრიალით მივიდა.

„ბოლო სროლის შემდეგ ვიცოდი, რომ ვერავინ დამეწეოდა და მწვრთნელებმაც მითხრეს — დაწყნარდი და დატკბი ბოლო წრითო. მეც დავტკბი... როგორც იქნა, მოვახერხე აქ გამარჯვება. მთავარია, რომ მინიმუმამდე შევამცირე შეცდომები" — გახარებული იყო ახლა უკვე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი.

რბოლა საბოლოოდ, მთლიანად გერმანული ტრიუმფით დასრულდა, რადგანაც მარტინა გლაგოუმ ბოლო მონაკვეთში აშკარად დაჯაბნა რუსი ალბინა ახატოვა და მეორე ტურინული ვერცხლიც მოიპოვა.

ხოლო ლიდერის რანგში დამწყებმა ბევერელ-რობერმა საუკეთესო ოცეულში მოხვედრაც ვერ მოახერხა.

გაცილებით საინტერესო გამოდგა კაცთა შეჯიბრი. ვილჰელმისგან განსხვავებით, ვერაფრით ახერხებს ნავსის გატეხვას ოლე-ეინარ ბიორდალენი. მას ტურინში საერთოდ არ უმართლებს. ამჯერადაც იგი ძალიან ახლოს იყო გამარჯვებასთან, მაგრამ ბოლოს ძალები ნამდვილად არ ეყო.

საერთოდ, კაცების შეჯიბრმა გაცილებით საინტერესოდ ჩაიარა. აქ რომელიმე ბიატლონისტის აშკარა უპირატესობა ნამდვილად არ ჩანდა, ლიდერიც რამდენჯერმე შეიცვალა. გამარჯვება კი ვინსენ დეფრანმა მოიპოვა, რომელმაც ეს სხვებზე სტაბილური სროლის ხარჯზე შეძლო.

რბოლის უკანასკნელი მონაკვეთი ძალიან დაძაბული გამოდგა. ბოლო სროლისას, ფრანგს ბიორნდალენთან ორმოცწამიანი უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ორჯერ ააცდინა და ამდენივე საჯარიმო წრის დარტყმა მოუწია. არც სკანდინავი იყო უნაკლო, მაგრამ ის მხოლოდ ერთხელ შეცდა.

ამიტომაც დეფრანს ბოლო წრისთვის მხოლოდ სამწამიანი უპირატესობაღა შემორჩა. წესით, აქ ბიორნდალენს არ უნდა გასჭირვებოდა ფრანგის გადასწრება, მაგრამ ამ დროისთვის ნორვეგიელი უკვე საკმაოდ დაღლილი იყო — მან ხომ თითქმის წუთიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა.

ყველაფერი ფინიშზე გადაწყდა, სადაც დეფრანს უფრო მეტი ძალა აღმოაჩნდა და საბოლოოდ, ოქროც მოიგო. მესამეზე კი სვენ ფიშერი გავიდა.

**ქახა ლომჯარია**



AFP ფოტოები

კატი ვილჰელმი



შვეიცარიელთა მეკარე მარტინ გერბერი კანადასთან შეუვალი იყო

# შვეიცარამა კანადა არ გაატარა

**A ჯგუფი**

**გერმანია 3:3 იტალია**
*0:1 1:0 2:2*
მარტინეცი, ფელსკი, გოჩა — პარკო, იობი, ბორგატელო

**კანადა 0:2 შვეიცარია**
*0:1 0:1 0:0*
დიპიეტრო-2

**ფინეთი 4:2 ჩეხეთი**
*1:1 1:1 2:0*
ო. იოკინენი, ლეჰტინენი — 2, სელიანე — ჟიდლიცკი-2

**B ჯგუფი**

**რუსეთი 1:0 ყაზახეთი**
*0:0 1:0 0:0*
ხარიტონოვი

**შვედეთი 6:1 ლატვია**
*1:0 4:0 1:1*
პოლსონი, ლიდსტრიომი, ალფრედსონი-2, აქსელსონი, ზეტერბერგი — ზიედინში

**სლოვაკეთი 2:1 აშშ**
*0:0 1:1 1:0*
მარ. ჰოსა, ბონდრა — როლსტონი

როგორც ამბობენ, მადა ჭამაში მოდისო. წინა თამაშში ჩეხების ძლევის შემდეგ შვეიცარია ისე გათამამდა, რომ კიდევ ერთი ფავორიტი, კანადა მიაყოლა. მრავალნაქებმა კანადელმა „პროფებმა" მთელი თამაშის განმავლობაში ვერაფერი მოუხერხეს საკუთარი კარის თავგანწირვით დამცავ მეტოქის და კარში ამობეტონებულ მეკარე მარტინ გერბერს (49 მოგერიება!). ამ სენსაციური გამარჯვების შემდეგ შვეიცარის გუნდი A ჯგუფის მესამე ადგილზე დამკვიდრდა და პრაქტიკულად გაინაღდა მეოთხედფინალში გასვლა.

რას იფიქრებდა კანადის ნაკრების გენერალური მენეჯერი, თვით დიადი უეინ გრეცკი, რომ ვილაც შვეიცარიასთან მატჩის 36-ე წუთზე იმაზე მოუწევდა ლოცვა, მსაჯებმა ჩემი შეგირდების გოლი ჩათვალონო. რიკ ნეშის დარტყმის შემდეგ თითქოს შაიბა კარში უნდა აღმოჩენილიყო, მაგრამ მარტინ გერბერმა რაღაც სასწაულებრივი მოძრაობით მოახერხა თავისი გუნდის ხსნა და რეზინის დისკი ყველასათვის მოულოდნელად მის ხელთათმანში აღმოჩნდა. თუმც მომენტი მაინც საეჭვო იყო, ვინაიდან ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს გერბერმა შაიბა კარის ხაზს იქით გააჩერა. ლამის 10-წუთიანი განსჯა-განხილვის შემდეგ მთავარმა არბიტრმა ბულანოვმა და ვიდეომსაჯმა გოლი არ ჩათვალეს. ამ წუთისთვის კი ანგარიში უკვე 2:0 იყო შვეიცარიელების სასარგებლოდ.

გულახდილად რომ ვთქვათ, თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, სრულიად სამართლიანი ანგარიში გახლდათ. კანადელებმა გასაკვირი გულუბრყვილობა გამოიჩინეს და ხშირი ჯარიმებით გაირთულეს საქმე. არადა, ჯერ კიდევ ტურნირის წინ თავად კანადელები მსაჯობას დიდ ყურადღებას აქცევდნენ, მით უმეტეს, რომ წესები წლეულს სწორედ ნჰლ-ში გაამკაცრეს. ჰოკეის დამაარსებლებისთვის ყველაზე საწყენი კი ის არის, რომ ორივე გოლი მათ კარში მათმა ყოფილმა თანამემამულემ გაიტანა. 1993 წელს „მონრეალის" რიგებში გაჩემპიონებული რიკ დიპიეტრო ლიგაში ვერ დამკვიდრდა, შვეიცარიაში გააგრძელა კარიერა და იქაური მოქალაქეობაც მიიღო. ჰოდა, ახლა დიპიეტრომ კანადას უჩვენა, რომ თამაში სულაც არ დავიწყებია.

„დღეს იღბალი ჩემს მხარეს იყო. მე უბრალოდ კართან მივდიოდი და წარმატებით ვიყენებდი ჩემს შანსებს" — თქვა ნამატჩევს დიპიეტრომ, რომელიც ერთადერთია თავის გუნდში, ვინც ხის ყვანჯს იყენებს.

დღის კიდევ ერთი ცენტრალური მატჩშიც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა. ჩეხებზე მეორედ დამარცხდა ჩეხეთის გუნდი. მას ბოლო მატჩებში სრული კონცენტრაცია დასჭირდება, თორემ შესაძლოა, საერთოდ მეოთხედფინალს მიღმა დარჩეს — ვინ იცის, იქნებ მასპინძელმა იტალიელებმა სძლიონ კიდევაც მსოფლიოს ჩემპიონებს. ფინელებთან თამაშში საბოლოო შედეგზე დიდი ზეგავლენა მოახდინა მეორე პერიოდში მომხდარმა ეპიზოდმა, რომლის დროსაც ფინელმა იარკო რუუტუმ აშკარად გადაამეტა, ჩეხთა ლიდერი იარომირ იაგრი ბორტს მიაჭეჭყა და დაასისხლიანა. იაგრმა ვერ მოახერხა თამაშის გაგრძელება, ხოლო მისმა პარტნიორებმა დარჩენილი დრო უფრო მეტოქის შეშინებას დაუთმეს, მაშინ, როცა „სუომის" ნაკრებმა ჩინებულად გამოიყენა თავისი შანსები. ოთხივე შაიბაში ფინელთა წამყვანმა ტრიომ, სელიანე-კოივუ-ლეჰტინენმა, მიიღო მონაწილეობა. სელიანე 7 ქულით ბომბარდირთა სიას თავშიც ჩაუდგა.

შვედებმა რომ იოლი წარმატება მოიპოვეს ლატვიასთან, ალბათ პეტერ ფორსბერგმა განაპირობა. ტრავმისა და „ფილადელფიის" მესვეურთა აშკარა წინააღმდეგობის მიუხედავად, პეტერი მაინც ჩავიდა ტურინში ნაკრების დასახმარებლად და სწორედ მისი უზუსტესი პასების შემდეგ გაიტანეს შვედებმა ორი გოლი. რუსებმა კი აშკარად დაისვენეს ყაზახებთან მატჩში. საოცარი ისაა, როგორ ვერ გამოიყენეს მათ ოთხი ორკაციანი რიცხვმრავლობა და მხოლოდ ერთადერთ გოლს დასჯერდნენ.

**სამველ ღარიბიანი**



შვედეთის იმედი პეტერ ფორსბერგი

**მედლები**

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გერმანია | 7 | 7 | 4 | 18 |
| 2 | აშშ | 7 | 4 | 2 | 13 |
| 3 | რუსეთი | 6 | 2 | 5 | 13 |
| 4 | ავსტრია | 4 | 5 | 1 | 10 |
| 5 | ს. კორეა | 3 | 3 | 1 | 7 |
| 6 | იტალია | 3 | - | 4 | 7 |
| 7 | საფრანგეთი | 3 | - | 2 | 5 |
| 8 | ესტონეთი | 3 | - | - | 3 |
| 9 | ნორვეგია | 2 | 7 | 7 | 16 |
| 10 | კანადა | 2 | 6 | 5 | 13 |
| 11 | შვეიცარია | 2 | 2 | 4 | 8 |
| 12 | ჰოლანდია | 2 | 2 | 2 | 6 |
| 13 | შვედეთი | 2 | 1 | 3 | 6 |
| 14 | ჩინეთი | 1 | 2 | 4 | 7 |
| 15 | ხორვატია | 1 | 1 | - | 2 |
| 16 | ავსტრალია | 1 | - | - | 1 |
| 17 | ფინეთი | - | 2 | 3 | 5 |
| 18 | ჩეხეთი | - | 2 | - | 2 |
| 19 | ბრიტანეთი | - | 1 | - | 1 |
| 20 | ბულგარეთი | - | 1 | - | 1 |
| 21 | სლოვაკეთი | - | 1 | - | 1 |
| 22 | უკრაინა | - | - | 1 | 1 |
| 23 | ლატვია | - | - | 1 | 1 |

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 1 | ნიუკასლი-ჩარლტონი | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 48 | აკრინგტონი-მორიკომბი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 49 | უოკინგი-ექსეტერი | 2.15 | 3.30 | 2.90 | 1.30 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 50 | გრეისი-დაგ ენდ რედი | 1.85 | 3.30 | 3.70 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 23:45 | 51 | ბარტონი-კემბრიჯი | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 23:45 | 52 | იორკი-ტემუორთი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 23:45 | 53 | სტივენეიჯი-კონვი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 23:45 | 54 | ალტრინჰემი-ჰალიფაქსი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 23:45 | 55 | ჰერეფორდი-ალდერშოტი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:45 | 56 | კიდერმინსტერი-ქროული | 1.75 | 3.40 | 4.00 | 1.15 | 1.21 | 1.83 |
| 23:45 | 57 | ფორესტ გრინი-გრეივსენდი | 2.30 | 3.30 | 2.65 | 1.35 | 1.23 | 1.46 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 23:15 | 88 | ალემანია-კოტბუსი | 1.60 | 3.60 | 4.60 | 1.10 | 1.18 | 2.01 |
| | | **იტალია. სერია C1/A** | | | | | | |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 165 | სალერნიტანა-ლუმეცანე | 1.70 | 2.70 | 6.50 | 1.04 | 1.34 | 1.90 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 259 | ემენი-აპელდორნი | 1.60 | 3.50 | 4.80 | 1.09 | 1.20 | 2.02 |
| 23:00 | 260 | მაასტრიხტი-სიტარდი | 1.40 | 4.00 | 6.30 | 1.03 | 1.14 | 2.44 |
| 23:00 | 261 | გრააფსხაპი-დენ ბოსხი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 271 | ლეირია-სეტუბალი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 23:00 | 411 | კალამარია-ირაკლისი | 2.60 | 2.90 | 2.55 | 1.37 | 1.28 | 1.35 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **20 თებერვალი** | | | | | | |
| 19:40 | 412 | ტეპლიცე-პრჟიბრამი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 356 | ბაიერნი-მილანი | 2.30 | 3.10 | 3.00 | 1.32 | 1.30 | 1.52 |
| 23:45 | 357 | ბენფიკა-ლივერპული | 2.90 | 3.00 | 2.45 | 1.47 | 1.32 | 1.34 |
| 23:45 | 358 | პსვ-ლიონი | 2.45 | 3.00 | 2.85 | 1.34 | 1.31 | 1.46 |
| 23:45 | 359 | რეალი-არსენალი | 1.80 | 3.30 | 4.30 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| | | **22 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 2.65 | 3.10 | 2.55 | 1.42 | 1.29 | 1.39 |
| 23:45 | 361 | ვერდერი-იუვენტუსი | 2.90 | 3.10 | 2.40 | 1.49 | 1.31 | 1.35 |
| 23:45 | 362 | ჩელსი-ბარსელონა | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 23:45 | 363 | აიაქსი-ინტერი | 2.95 | 3.10 | 2.35 | 1.51 | 1.30 | 1.33 |
| | | **ინგლისი LDV Vans Trophy** | | | | | | |
| | | **21 თებერვალი** | | | | | | |
| 23:45 | 396 | კარლაილი-მაკსფილდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10356 | ბაიერნი-მილანი | 2.65 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.50 | 1.27 |
| 10357 | ბენფიკა-ლივერპული | 3.30 | 2.00 | 2.80 | 1.24 | 1.51 | 1.16 |
| 10358 | პსვ-ლიონი | 2.75 | 2.00 | 3.20 | 1.15 | 1.47 | 1.23 |
| 10359 | რეალი-არსენალი | 2.15 | 2.00 | 4.50 | 1.03 | 1.45 | 1.38 |
| 10360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 3.20 | 2.00 | 2.90 | 1.23 | 1.52 | 1.18 |
| 10361 | ვერდერი-იუვენტუსი | 3.35 | 2.00 | 2.75 | 1.25 | 1.51 | 1.15 |
| 10362 | ჩელსი-ბარსელონა | 2.40 | 2.00 | 3.50 | 1.09 | 1.42 | 1.27 |
| 10363 | აიაქსი-ინტერი | 3.20 | 2.00 | 2.65 | 1.23 | 1.44 | 1.13 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11356 | ბაიერნი-მილანი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11357 | ბენფიკა-ლივერპული | 4.30 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11358 | პსვ-ლიონი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11359 | რეალი-არსენალი | 2.50 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11361 | ვერდერი-იუვენტუსი | 4.10 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.50 | 20.00 | 10.00 | 3.40 |
| 11362 | ჩელსი-ბარსელონა | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11363 | აიაქსი-ინტერი | 4.20 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12356 | ბაიერნი-მილანი | 1.60 | 2.10 |
| 12357 | ბენფიკა-ლივერპული | 1.55 | 2.20 |
| 12358 | პსვ-ლიონი | 1.60 | 2.00 |
| 12359 | რეალი-არსენალი | 1.90 | 1.70 |
| 12360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 1.55 | 2.10 |
| 12361 | ვერდერი-იუვენტუსი | 1.90 | 1.70 |
| 12362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 12363 | აიაქსი-ინტერი | 1.60 | 2.10 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო კი/არა)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13356 | ბაიერნი-მილანი | 1.70 | 1.90 |
| 13357 | ბენფიკა-ლივერპული | 1.70 | 1.90 |
| 13358 | პსვ-ლიონი | 1.70 | 1.90 |
| 13359 | რეალი-არსენალი | 1.90 | 1.65 |
| 13360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 1.70 | 1.90 |
| 13361 | ვერდერი-იუვენტუსი | 1.70 | 1.90 |
| 13362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.70 | 1.90 |
| 13363 | აიაქსი-ინტერი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14356 | ბაიერნი-მილანი | 1.80 | 2.00 |
| 14357 | ბენფიკა-ლივერპული | 1.90 | 1.80 |
| 14358 | პსვ-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 14359 | რეალი-არსენალი | 1.60 | 2.20 |
| 14360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 1.90 | 1.90 |
| 14361 | ვერდერი-იუვენტუსი | 1.95 | 1.85 |
| 14362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.70 | 2.10 |
| 14363 | აიაქსი-ინტერი | 1.95 | 1.75 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15356 | ბაიერნი-მილანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | ბენფიკა-ლივერპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15358 | პსვ-ლიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15359 | რეალი-არსენალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15361 | ვერდერი-იუვენტუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15362 | ჩელსი-ბარსელონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15363 | აიაქსი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16356 | ბაიერნი-მილანი | 1.50 | 2.10 |
| 16357 | ბენფიკა-ლივერპული | 1.90 | 1.60 |
| 16358 | პსვ-ლიონი | 1.60 | 1.90 |
| 16359 | რეალი-არსენალი | 1.25 | 3.00 |
| 16360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 1.85 | 1.65 |
| 16361 | ვერდერი-იუვენტუსი | 1.90 | 1.60 |
| 16362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.45 | 2.10 |
| 16363 | აიაქსი-ინტერი | 1.90 | 1.60 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2. (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17356 | ბაიერნი-მილანი | 1.85 | 1.95 |
| 17357 | ბენფიკა-ლივერპული | 1.85 | 1.95 |
| 17358 | პსვ-ლიონი | 1.85 | 1.95 |
| 17359 | რეალი-არსენალი | 1.85 | 1.95 |
| 17360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 1.85 | 1.95 |
| 17361 | ვერდერი-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 17362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.85 | 1.95 |
| 17363 | აიაქსი-ინტერი | 1.85 | 1.95 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18356 | ბაიერნი-მილანი | 2.00 | 1.60 |
| 18357 | ბენფიკა-ლივერპული | 2.90 | 1.30 |
| 18358 | პსვ-ლიონი | 2.30 | 1.50 |
| 18359 | რეალი-არსენალი | 1.70 | 1.95 |
| 18360 | რეინჯერსი-ვილიარეალი | 2.90 | 1.35 |
| 18361 | ვერდერი-იუვენტუსი | 3.40 | 1.25 |
| 18362 | ჩელსი-ბარსელონა | 1.90 | 1.65 |
| 18363 | აიაქსი-ინტერი | 3.40 | 1.25 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ინგლისი

### ასოციაციის თასი
### მეოთხედფინალი

**ლივერპული 1:0 მანჩესტერი**

1:0 კროუჩი (19)

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ჯერარდი, ჰამანი, სისოკო, კიუელი (კრომკამპი 82), კროუჩი (ჯ. სისე 88), მორიენტესი (ლუის გარსია 62)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

მანჩესტერი: ვან დერ სარი, გ. ნევილი, ვ. ბრაუნი, ვიდიჩი, სილვესტრი (საა 46), რონალდუ, დ. ფლეტჩერი (ა. სმიტი 76; პარკი 90), კ. რიჩარდსონი, გიგზი, ვან ნისტელროი, რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: ჰამანი, ჰიიპია, კარაგერი, კიუელი, გიგზი, ნევილი, ვიდიჩი

მსაჯი: ვები

44 039 მაყურებელი

**ბოლტონი 0:0 ვესტ ჰემი**

**ჩარლტონი 3:1 ბრენტფორდი**

1:0 დ. ბენტი (3), 2:0 ბოტროიდი (45), 3:0 ბ. ჰიუზი (62), 3:1 რანკინი (83)

**ნიუკასლი 1:0 საუთჰემპტონი**

1:0 დაიერი (68)

**პრესტონი 0:2 მიდლსბრო**

0:1, 0:2 აიეგბენი (52, 77)

**სტოკი 0:1 ბირმინგემი**

0:1 ფორსელი (47)

**ჩელსი 3:1 კოლჩესტერი**

0:1 რ. კარვალიუ (28ს.კ.), 1:1 პ. ფერეირა (37), 2:1, 3:1 ჯ. კოული (79, 90)

**ასტონ ვილა 1:1 სიტი**

1:0 ბაროში (72), 1:1 რიჩარდსი (90)

# ლივერპულმა 85 წლის წყერი მოიპარსა



მერსისაიდელებმა „მანჩესტერს" სულ ხუთიანები უფრიალეს, აქაოდა ჩემპიონთა თასი თქვენზე მეტჯერ, ხუთჯერ მოგვიგიაო. ნიშნი გარი ნევილსაც მოუგეს, შენ არ იყავი, ამასწინათ მანჩესტერში ნერვები რომ მოგვიშალეო



AFP ლივერპულიდან

**ოდესმე** ყველაფერი მთავრდება და დამთავრდა ესეც: „ლივერპულმა" ასოციაციის თასიდან გამოაგდო „მანჩესტერი" — პიტერ კროუჩის ლამის ისტორიული თავურით.

მერსისაიდში ამას 1921 წლიდან ელოდნენ.

თამაშის საბრძოლო სული და განწყობა კი წაახდინა შეცვლაზე შესული ალან სმიტის ტრავმამ. მატჩის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე სმიტი მანჩესტერელთა კარში დარტყმულ ჯარიმას დაუხვდა, მარცხენა ფეხს უხერხულად დაეყრდნო და კოჭში მოტყდა. ამ სეზონში მისი თამაში გამორიცხულია.

კროუჩის გოლი კი სტატისტიკურადაც უცნაური გამოდგა — თვენახევარია, ანუ ახალი წლის საღამოდან აქაურ თავდამსხმელს გოლი არ შეუგდია: იმ ახალ წელსაც, მისი ავტორი კროუჩი იყო.

რაფა ბენიტესის გუნდის მიერ კვირაში ზედიზედ მესამე 1:0-ის მოგება ალექს ფერგიუსონმა მოსაწყენ, დაცვით ტაქტიკას მიაწერა, თუმცა იქვე დაურთო: „მათ შეუძლიათ, ხუთი წუთი ითამაშონ ნამდვილი ფეხბურთი და თამაში მოიგონ. დაცვაში დგანან, შენს საჯარიმოში კი ძალიან სახიფათოდ კიდებენ".

„მანჩესტერს" კი აკლდა რიო ფერდინანდი, რაც საკუთარ საჯარიმოში ძვირად დაუჯდა. „ლივერპული" კი ისე თამაშობდა, რომ თვით ჰარი კიუელიც კაცს იჭერდა — გარი ნევილს არ შორდებოდა. ძვლების ღრჭიალი ხშირად ისმოდა, თუმცა მსაჯმა ჰოვარდ ვებმა მხოლოდ 33-ე წუთზე ამოიღო პირველი ყვითელი. კოპმა მხოლოდ ერთხელ შეაწუხა პირადი მტერი ნევილი: ტრიბუნიდან მისკენ საგანი გამოფრინდა, ტაში კი მაშინ იყო, როცა ნევილმა კიუელზე მიიღო ყვითელი.

„ლივერპული" პირველი გავიდა თასის ნახევარფინალში, მას კი მიჰყვნენ „ბრენტფორდის" მძლეველი „ჩარლტონი" და „ნიუკასლი", „ვესტ ჰემსა" და „ბოლტონს" კი „აპტონ პარკზე" მოუწევთ გადათამაშება.

მართლა სხვანაირი საღამო იყო ნიუკასლში, სადაც იქაურებმა „საუთჰემპტონი" დაამარცხეს და კვლავ მოიგეს დროებითი თავკაცის, გლენ როიდერის ხელში. ამ დღის სხვანაირობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ 28 აგვისტოს შემდეგ სასტარტოში პირველად გამოჩნდა ტრავმებითა და ნაირგვარი სნეულებებით ტანჯული კირონ დაიერი, რომელიც ალან შირერის ტრავმის გამო მოხვდა ძირითადში და თამაშის ერთადერთი გოლიც გაიტანა.

დაიერმა ისე იზეიმა ეს გოლი, რომ იშვიათად გენახოთ. „მთელი ჭირი გამოვიდა ჩემგან, მინდორზე ყოფნა საოცნებოა" — თქვა ფეხბურთელმა.

ასეა ასოციაციის თასის საქმე. ამ შაბათს კი ლიგის თასის ფინალი იქნება: „უიგანი" — „მანჩესტერი".

## მაცადეთ!



**სვენ გორან ერიკსონმა** გამოუცხადა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას, რომ მას მსოფლიოს ჩემპიონატამდე და მსოფლიოს ჩემპიონატის დროს არაფერში სჭირდება ინგლისის ნაკრების მომავალ მწვრთნელთან ურთიერთობა.

საერთოდაც, ისე არ უნდა გამოვიდეს, რომ მომავალმა მწვრთნელმა სვენს ლაპარაკი გაუბას და იდეები შესთავაზოს.

„მე წინააღმდეგი ვარ იმ იდეის, რომელსაც ასოციაცია ავრცელებს — თქვა შვედმა — ეს ჩემი ბოლო მსოფლიოს თასია და გუნდი ჩემი ჭკუითა და გამოცდილებით უნდა ვმართო". ერიკსონმა ასევე თქვა, რომ არანაირ მონაწილეობას არ მიიღებს ახალი მწვრთნელის შერჩევაში.

ასოციაციაში უკვე არსებობს სამკაციანი კომიტეტი, რომელსაც მწვრთნელის ამორჩევა ევალება.

კანდიდატი სამია: გუს ჰიდინკი, სემ ალარდაისი და მარტინ ონილი. თუმცა ამ უკანასკნელს ცოლის ავადმყოფობის გამო დიდ საქმესთან შეჭიდება ძნელად გამოუვა.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ვინ? დუშერი?

**„დეპორტივოს"** არგენტინელმა ნახევარმცველმა ალდო დუშერმა განაცხადა, რომ მას შეთავაზება აქვს „მანჩესტერიდან".

„ეს კარგი კლუბია — თქვა 26 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც მსოფლიო სახელი 2002 წელს ჩემპიონთა ლიგის მატჩში დევიდ ბექჰემისთვის ფეხის მოტეხვამ მოუტანა — რა თქმა უნდა, წინადადება მაინტერესებს, კონტაქტები სერიოზულია და ყველაფერი სეზონის დასრულების შემდეგ გადაწყდება".



### პრემიერლიგა
### XXVII ტური

**ტოტენჰემი 2:2 უიგანი**

0:1 იოჰანსონი (10), 1:1 მიდო (23), 1:2 იოჰანსონი (67), 2:2 დეფო (68)

ტოტენჰემი: პ. რობინსონი, დოუსონი, კინგი, ი. ლი, სტალტერი, კარიკი, დავიდსი (ჰადლსტოუნი 85), ა. ლენონი, დენი მერფი (რობი კინი 74), მიდო, დეფო

მწვრთნელი: მარტინ იოლი

უიგანი: პოლიტი, ბაინსი, ჩიმბონდა, დე ზეუვი, ანშო (ჯექსონი 46), შარნერი, ბალარდი, ა. იოჰანსონი, კავანაფი, დ. ტომპსონი, ა. კამარა (მაკკალოხი 90)

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

გაფრთხილება: მიდო, კავანაფი

მსაჯი: რენიე

35 676 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 26 | 21 | 3 | 2 | 52:16 | 66 |
| მანჩესტერი | 26 | 16 | 6 | 4 | 52:27 | 54 |
| ლივერპული | 26 | 15 | 6 | 5 | 32:17 | 51 |
| ტოტენჰემი | 27 | 12 | 10 | 5 | 37:24 | 46 |
| არსენალი | 26 | 12 | 5 | 9 | 39:21 | 41 |
| ვესტ ჰემი | 26 | 12 | 5 | 9 | 39:34 | 41 |
| ბლექბერნი | 26 | 12 | 4 | 10 | 33:31 | 40 |
| უიგანი | 27 | 12 | 4 | 11 | 32:34 | 40 |
| ბოლტონი | 24 | 10 | 9 | 5 | 30:23 | 39 |
| სიტი | 26 | 11 | 4 | 11 | 36:30 | 37 |
| ევერტონი | 26 | 11 | 3 | 12 | 19:32 | 36 |
| ჩარლტონი | 25 | 10 | 3 | 12 | 32:37 | 33 |
| ფულემი | 26 | 9 | 5 | 12 | 36:37 | 32 |
| ნიუკასლი | 25 | 9 | 5 | 11 | 24:29 | 32 |
| ასტონ ვილა | 26 | 7 | 9 | 10 | 32:35 | 30 |
| მიდლსბრო | 25 | 7 | 7 | 11 | 33:44 | 28 |
| ვესტ ბრომვიჩი | 26 | 7 | 5 | 14 | 24:38 | 26 |
| ბირმინგემი | 25 | 5 | 5 | 15 | 21:37 | 20 |
| პორტსმუთი | 26 | 4 | 6 | 16 | 18:45 | 18 |
| სანდერლენდი | 26 | 2 | 4 | 20 | 18:48 | 10 |

### ჩემპიონატი
### XXXV ტური

ლუთონი — რედინგი 3:2; ბრაიტონი — უოტფორდი 0:1; კარდიფი — ჰალი 1:0; ლესტერი — ლიდსი 1:1; მილუოლი — კრ. პალასი 1:1; ნორვიჩი — დერბი 2:0; პლიმუთი — ქოვენთრი 3:1; უენსდი — შეფილდი 1:2; ვულვზი — იფსვიჩი 1:0. ბარნლი — საუთჰემპტონი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რედინგი | 35 | 25 | 8 | 2 | 75:23 | 83 |
| შეფილდი | 35 | 22 | 8 | 5 | 62:34 | 74 |
| უოტფორდი | 35 | 18 | 10 | 7 | 63:40 | 64 |
| ლიდსი | 34 | 18 | 9 | 7 | 47:27 | 63 |
| კრ. პალასი | 34 | 16 | 9 | 9 | 48:33 | 57 |
| პრესტონი | 33 | 13 | 16 | 4 | 44:23 | 55 |
| კარდიფი | 35 | 14 | 10 | 11 | 49:41 | 52 |
| ვულვზი | 34 | 12 | 14 | 8 | 37:28 | 50 |
| ლუთონი | 35 | 14 | 6 | 15 | 54:54 | 48 |
| იფსვიჩი | 35 | 12 | 11 | 12 | 40:48 | 47 |
| ნორვიჩი | 35 | 13 | 7 | 15 | 42:47 | 46 |
| ქოვენთრი | 35 | 11 | 11 | 13 | 47:53 | 44 |
| ბარნლი | 34 | 12 | 7 | 15 | 41:43 | 43 |
| პლიმუთი | 34 | 10 | 13 | 11 | 32:38 | 43 |
| ქუინზ პარკი | 34 | 11 | 9 | 14 | 38:48 | 42 |
| სტოკი | 33 | 12 | 4 | 17 | 35:47 | 40 |
| ჰალი | 35 | 9 | 11 | 15 | 37:43 | 38 |
| საუთჰემპტონი | 34 | 7 | 16 | 11 | 30:36 | 37 |
| ლესტერი | 35 | 8 | 13 | 14 | 38:46 | 37 |
| დერბი | 35 | 6 | 17 | 12 | 42:52 | 35 |
| უენსდი | 35 | 8 | 10 | 17 | 27:43 | 34 |
| მილუოლი | 35 | 5 | 14 | 16 | 25:47 | 29 |
| ბრაიტონი | 35 | 5 | 14 | 16 | 31:55 | 29 |
| ქრიუ | 34 | 4 | 11 | 19 | 39:74 | 23 |

### პირველი ლიგა
### XXXIV ტური

ბორნმუთი — ბლეკპული 1:1; ბრედფორდი — ბრისტოლი 1:1; ჩესტერფილდი — საუთენდი 3:4; დონკასტერი — ჯილინგემი 2:0; ჰადერსფილდი — დონსი 5:0; პორტ ვეილი — ნოტინგემი 0:2; სკანთორპი — სუონსი 2:2; სუინდონი — როტერჰემი 2:3; ტრანმერი — ბარნსლი 0:1; უოლსოლი — ოლდემი 0:2

### მეორე ლიგა
### XXXIV ტური

ნორთჰემპტონი — ტორკი 1:0; ბოსტონი — უიკომბი 1:1; როჩდეილი — სტოკპორტი 2:2; ბერი — ბარნეტი 0:0; კარლაილი — რაშდენი 5:0; ჩესტერი — ლეიტონი 0:2; დარლინგტონი — შრუსბერი 0:1; მაკლსფილდი — ლინკოლნი 1:1; მენსფილდი — რექსემი 2:2; ნოტსი — პიტერბრო 1:2; ოქსფორდი — ჩელტენემი 1:1 როჩდეილი — გრიმსბი გადაიდო

### კონფერენსლიგა
### XXX ტური

გრეივსენდი — აკრინგტონი 1:3; ალდერშოტი — ბარტონი 1:1; კემბრიჯი — სოთპორტი 2:1; ქონვი — ჰერეფორდი 1:1; ქროული — ალტრინჩემი 2:0; დაგენემი — სტივენეჯი 2:2; ექსეტერი — იორკი 1:3; ჰალიფაქსი — გრეისი 2:1; მორეკემბი — ფორესტ გრინი 3:2; სკარბორო — უოკინგი 1:1; ტემფორთი — კიდერმინსტერი 1:1

# ცოფიანი ფრე
## კანი ბარძაყში დაჭრეს



AFP ჰანოვერიდან

ჰანოვერი — ბაიერნი. მიხაელ ბალაკის გოლმა მიუნხენელებს ქულადა შემატა

„ჰანოვერის“ მწვრთნელი პეტერ ნოირურერი ფელიქს მაგათის „ბაიერნს“ ემუქრებოდა და კინაღამ აუსრულა. მასპინძლები ტომაშ ბრდარიჩის გოლით მეორე ტაიმში დაწინაურდნენ, როცა კარში ოლივერ კანის ნაცვლად მიხაელ რენსინგი ჩადგა. კანი კი იმიტომ შეცვალეს, რომ 50-ე წუთზე ბრდარიჩს შეეჯახა და ბარძაყი იტკინა. „არ ვიცი, ვიქნები თუ არა მზად „მილანთან“ თამაშისთვის — თქვა ნამატჩევს ტრავმირებულმა — სირბილი და ხტუნვა არ შემიძლია. ექიმები ეცდებიან, სამილანოდ მომამზადონ“.

კარში რენსინგის ჩადგომიდან ექვს წუთში დაბროვსკის ჩაწოდებულ ბურთს ბრდარიჩმა თავი ჰკრა და ანგარიში გახსნა. „ჰანოვერი“ პირველ ტაიმშიც ყოჩაღობდა, სტუმრებმა კი პიზაროსა და მაკაის თითო დარტყმით უპასუხეს.

გოლის შემდეგ „ბაიერნი“ დაიქოქა, მატჩის ბოლო წუთებში ჰანოვერელებს საკუთარი საჯარიმოდან ცხვირი არ გამოაყოფინა და დაუფასდა კიდეც — სანიოლის პასით მიხაელ ბალაკმა გაათანაბრა.

„ჰანოვერმა“ შესვენებამდე ძალიან კარგად ითამაშა და პრობლემები შეგვიქმნა — თქვა ფელიქს მაგათმა — მაგრამ ბრძოლა განვაგრძეთ და ქულა დავიმსახურეთ, რომელიც ნაღდად გვერგებოდა“.

„ბაიერნისთვის“ წლეულს ეს მეოთხე ფრე გამოდგა, ხოლო „ჰანოვერმა“ წაუგებელი სერია ათ მატჩამდე გაზარდა.

„89-ე წუთზე გოლს რომ გაუშვებ, გაცოფდები კაცი, მაგრამ ჩემს ფეხბურთელებზე აუგს მაინც ვერ ვიტყვი“ — განაცხადა „ჰანოვერის“ თავკაცმა პეტერ ნოირურერმა.

დორტმუნდში „ბორუსიას“ ქომაგები გვერდითმა მსაჯმა გაახელა, რომელმაც თხუთმეტწუთიან მონაკვეთში ცხრაჯერ თამაშგარე მდგომარეობაში „გამოიჭირა“ დორტმუნდელი ფეხბურთელები. ამ დროისთვის „ვერდერი“ კლასნიჩის გოლით იგებდა, „ბორუსია“ კი გათანაბრებას ლამობდა. ბორუსიელმა შმოლარეკმა მეორე ტაიმში კარგი მომენტი ვერ გამოიყენა — ბურთი ძელს გაარტყა. „ვერდერმა“ სამი ქულა მიიმატა და „ბაიერნთან“ სხვაობა ცხრა ქულამდე შეამცირა.

ბერლინში „შალკე“ „ჰერტას“ 2:1-ს უგებდა, როცა აქეთ-იქიდან ფეხბურთელები გააძევეს. ჯერ „ხუმარები“ დარჩნენ ათნი, რადგან ფაბიან ერნსტს მეორე ყვითელი წითლად ექცა. შეხვედრის ბოლოს კი ერნსტის გზას ბერლინელი ჟილბერტო დაადგა.

„შალკე“ ჯერალდ ასამოამ მეშვიდე წუთზე დააწინაურა — ორი მცველი პირლია დატოვა და საგოლედ დაარტყა. მოგვიანებით სტუმართა მცველების ჩათვლემით ისარგებლა მადლუნგმა და გაათანაბრა. ტაიმის მიწურულს „ხუმარა“ ზლატან ბაირამოვიჩმა მეკარე ფიდლერის მოგერიებულს დაამატა და 1:2, რასაც „ჰერტას“ ფეხბურთელების ჯანყი მოჰყვა, თამაშგარედან გაიტანაო. მსაჯმა ყური არ უგდო და ჩათვალა.

ლევერკუზენის „ბაიერში“ პროგრესია. წინა ტურში „შალკესგან“ შვიდი გაუშვა, ამჯერად კი „დუისბურგთან“ — მხოლოდ ორი. ბაიერელები მეათე წუთისთვის 2:0-ს იგებდნენ, მაგრამ მერე მოეშვნენ, რისთვისაც დუისბურგელმა ლავრიჩმა დუბლით დასაჯა და გაათანაბრა. ლევერკუზენი დიმიტარ ბერბატოვმა 85-ეზე გატანილი გოლით გაახარა და მასპინძლებმა მოიგეს.

ერთი კვირის წინ სტუმრად „ვერდერის“ მძლეველი „კაიზერსლაუტერნი“ იშტაზე მოვიდა. „წითლები“ ბილეფილდის „არმინიას“ ბუბაქარ სანოგოს წყვილი გოლით გაუმასპინძლდნენ და მე-16 ადგილზე აცოცდნენ. „ლაუტერნმა“ გამოიღვიძა და ბუნდესლიგიდან გავარდნას არ აპირებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

## გერმანია
### ბუნდესლიგა XXII ტური

**ჰერტა 1:2 შალკე**

0:1 ასამოა (6), 1:1 მადლუნგი (33), 1:2 ბაირამოვიჩი (45)
ჰერტა: ფიდლერი, მადლუნგი, ვან ბურიკი, ჩაჰედი, დარდაი (სამბა 69), ნ. კოვაჩი, ბაშთურქი, მარსელინიო, ჟილბერტო, პანტელიჩი, სვერკოში
მწვრთნელი: ფალკო გიოტცი
შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ბორდონი, კრსტაიჩი, კობიაშვილი, კ. პოულსენი, ფ. ერნსტი, ბაირამოვიჩი, ლინკოლნი (გ. ვარელა 90), კურანი (ლარსენი 86), ასამოა (სანდი 81)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
გაფრთხილება: ერნსტი, ჟილბერტო, პანტელიჩი, ვან ბურიკი, ერნსტი, კოვაჩი, ბორდონი, ჟილბერტო
გაძევება: ერნსტი (66), ჟილბერტო (85)
მსაჯი: ვაკი
50 948 მაყურებელი

**ნიურნბერგი 1:0 ვოლფსბურგი**

1:0 საენკო (16)
ნიურნბერგი: რ. შეფერი, ნიკლი, კანტალუპი, გლაუბერი, დ. რაინჰარდტი, მნარი (შროტი 60), პინოლა, პოლაკი, ჩუდლი (ოზტიურკი 69), საენკო, ვიტეკი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
ვოლფსბურგი: იენჩი, ალექსი, კიროგა, ჰოფლანდი, ვან დერ ჰიდენი, კარჰანი (ტიამი 59), ვან დერ ლეეგტე, მენსეგეში, ცქიტიშვილი (ნეზირი 59), ჰანკე, ჰუგენდორპი (მარლე 67)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: საენკო, შეფერი, პოლაკი, ოზტიურკი, ვან დერ ლეეგტე
მსაჯი: ფანდელი
16 954 მაყურებელი

**ჰანოვერი 1:1 ბაიერნი**

1:0 ბრდარიჩი (56), 1:1 ბალაკი (89)
ჰანოვერი: ენკე, ჩერუნდოლო, მერტესაკერი, ზურავი, ტარნატი, ვინისიუსი, ბალიტჩი, დაბროვსკი, შტაინერი (ლალა 63), ბრდარიჩი (ტროესტი 85), ჰაშემიანი (დელურა 80)
მწვრთნელი: პეტერ ნოირურერი
ბაიერნი: კანი (რენსინგი 51), სანიოლი, ისმაელი, დემიკელისი, ლიზარაზუ (შოლი 61), ლამი, ქარიმი, ზე რობერტო (შვაინსტაიგერი 46), ბალაკი, კ. პიზარო, მაკაი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: დელურა, შოლი, ქარიმი
მსაჯი: ვაგნერი
49 000 მაყურებელი

**დორტმუნდი 0:1 ვერდერი**

0:1 კლასნიჩი (37)
დორტმუნდი: ვაიდენფელერი, პ. დეგენი, ბრჟენსკა, ვიორნსი, დედე, კელი, კრინგე, როსიცკი, ოდონკორი, შმოლარეკი, გამბინო (ბაკლი 55)
მწვრთნელი: ბერტ ვან მარვიიკი
ვერდერი: ვიზე, ოვომოიელა, ფარენჰორსტი, ნალდო, კ. შულცი, ფ. ბაუმანი, ფრინგსი, ბოროვსკი, მიკუ, კლასნიჩი (ვრანიეში 81), ნ. ვალდესი
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ბოროვსკი, ფრინგსი, შულცი
მსაჯი: მერკი
75 200 მაყურებელი

**აინტრახტი 1:2 ჰამბურგი**

0:1 ტროხოვსკი (20), 1:1 მეიერი (42), 1:2 ვან ბუიტენი (52)
აინტრახტი: ნიკოლოვი, კრისი, პროისი, ვასოსკი, ჰუგელი (დუ-რი ჩა 69), ჯონსი, პ. ოხსი, კიოლერი (რაინჰარდი 62), ა. მეიერი, ამანატიდისი, კოპადო
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ჰამბურგი: ვეხტერი, მაჰდავიკია, ბულარუზი, ვან ბუიტენი, ატუბა, ვიკი, ჯ. დე იონგი (კლინგბილი 73), იაროლიმი, ტროხოვსკი (ლაასი 87), ტაკაჰარა (ლაუტი 81), ბარბარესი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: ოხსი, რაინჰარდი, მაჰდავიკია
მსაჯი: ფლაიშერი
50 000 მაყურებელი

**ლევერკუზენი 3:2 დუისბურგი**

1:0 ფრაიერი (7), 2:0 ბარნეტა (9), 2:1, 2:2 ლავრიჩი (42, 65), 3:2 ბერბატოვი (85)
ლევერკუზენი: ბუტი, კ. ფრიცი, ნოვოტნი, ჟუანი (კალსენ-ბრაკერი 65), ბარნეტა, როლფსი, ბ. შნაიდერი, ბაბიჩი (კრჟინოვეკი 77), ფრაიერი, ბერბატოვი, ვორონინი (შტენმანი 90)
მწვრთნელი: მიხაელ სკიბე
დუისბურგი: გ. კოხი, ბელუმი, მიორლე, ბილიშკოვი, ა. მეიერი, ტიკუზუ (ვილი 63), ლოტნერი (კურტი 83), კალიჯიური, ტარარახე, ლავრიჩი, ანი (აიგიუნი 79)
მწვრთნელი: იურგენ კოლერი
გაფრთხილება: ბაბიჩი, ბერბატოვი, როლფსი, ფრიცი, ბელუმი
გაძევება: ბილიშკოვი (77)
მსაჯი: პერლი
22 500 მაყურებელი

**შტუტგარტი 2:1 მაინცი**

1:0 ლიუბოია (7), 1:1 და სილვა (25), 2:1 ტიფერტი (71)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, ფ. მეირა, დელპიერი, ჰ. გერბერი, სოლდო, გენტნერი, ჰიცლშპერგერი (გომეში 66), ტიფერტი, ტომასონი (მ. ბაბელი 87), ლიუბოია
მწვრთნელი: არმინ ფეე
მაინცი: ვეტკლო, აბელი (ფ. გერბერი 76), მ. ფრიდრიხი, ნოვესკი, ვაიგელტი (როსე 68), პეკოვიჩი, დემირტასი, და სილვა, ნ. ვაილანდი (მ. ზიდანი 67), ტიურკი, აუერი
მწვრთნელი: იურგენ კლოპი
გაფრთხილება: ვაიგელტი, ნოვესკი, ტიურკი, დემირტასი
მსაჯი: მეიერი
25 000 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 2:0 კიოლნი**

1:0 ლელი (54ს.კ.), 2:0 ნოივილი (74)
მიონხენგლადბახი: კ. კელერი, ბოგელუნდი, ბ. სვენსონი, ზე ანტონიო, შტრასერი (რაფაელი 46), კლუგე (დაემსი 87), ელ ფაკირი, იანსენი, ბროიხი (ტიისი 77), ნოივილი, სონკი
მწვრთნელი: ჰორსტ კოეპელი
კიოლნი: ვესელსი (ბადე 46), სინკევიჩი, ჟივკოვიჩი, ალფაი, ლელი (საბიჩი 84), გრამოცისი, ბენშნაიდერი, კაბანასი (შურცი 76), ა. შტრაიტი, პოდოლსკი, შტრელერი
მწვრთნელი: ჰანს-პეტერ ლატური
გაფრთხილება: კლუგე, კაბანასი
გაძევება: ბენშნაიდერი (28)
მსაჯი: ვაინერი
54 019 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 2:0 არმინია**

1:0, 2:0 სანოგო (9, 88)
კაიზერსლაუტერნი: მახო, ჰერჩი, ბედა, შიონჰაიმი, ბორბელი (მიკიჩი 58), ლემბი, ენგელარდტი, შკელა, ზანდი (რინერტი 89), ჰალილ ალტინტოპი (ჰალფარი 67), სანოგო
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
არმინია: ჰაინი, კორჟინეცი, ვესტერმანი, ბორგესი, კუჩერა, კოუნცელი (პინტო 69), კაუფი, ფინკი, დ. კობილიკი (მასმანიდისი 60), ზუმა (ვატა 46), ბოაკიე
მწვრთნელი: თომას ვონ ჰესენი
გაფრთხილება: ვატა, ვესტერმანი
მსაჯი: შტარკი
26 806 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 22 | 17 | 4 | 1 | 42:15 | 55 |
| ჰამბურგი | 22 | 14 | 5 | 3 | 35:15 | 47 |
| ვერდერი | 22 | 14 | 4 | 4 | 52:25 | 46 |
| შალკე | 22 | 11 | 9 | 2 | 31:17 | 42 |
| ჰანოვერი | 22 | 6 | 12 | 4 | 32:27 | 30 |
| შტუტგარტი | 22 | 6 | 12 | 4 | 24:21 | 30 |
| ჰერტა | 22 | 7 | 9 | 6 | 31:29 | 30 |
| გლადბახი | 22 | 7 | 9 | 6 | 28:27 | 30 |
| დორტმუნდი | 22 | 7 | 8 | 7 | 28:27 | 29 |
| ლევერკუზენი | 22 | 7 | 7 | 8 | 37:37 | 28 |
| აინტრახტი | 22 | 7 | 4 | 11 | 28:33 | 25 |
| არმინია | 22 | 6 | 6 | 10 | 25:32 | 24 |
| ვოლფსბურგი | 22 | 5 | 7 | 10 | 22:38 | 22 |
| ნიურნბერგი | 22 | 5 | 6 | 11 | 23:35 | 21 |
| მაინცი | 22 | 5 | 5 | 12 | 32:36 | 20 |
| ლაუტერნი | 22 | 5 | 5 | 12 | 31:50 | 20 |
| დუისბურგი | 22 | 3 | 8 | 11 | 21:39 | 17 |
| კიოლნი | 22 | 3 | 6 | 13 | 28:47 | 15 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კლოზე (ვერდერი) | 16 |
| ჰალილ ალტინტოპი (ლაუტერნი) | 13 |
| შმოლარეკი (დორტმუნდი) | 12 |
| კლიმოვიჩი (ვოლფსბურგი) | 11 |
| მაკაი (ბაიერნი) | 11 |

### XXIII ტური

25-26 თებერვალი

| | | |
|---|---|---|
| შალკე | : | ნიურნბერგი |
| ვოლფსბურგი | : | ჰანოვერი |
| ბაიერნი | : | აინტრახტი |
| ჰამბურგი | : | შტუტგარტი |
| მაინცი | : | ლაუტერნი |
| არმინია | : | დორტმუნდი |
| ვერდერი | : | გლადბახი |
| კიოლნი | : | ლევერკუზენი |
| დუისბურგი | : | ჰერტა |

### მეორე ბუნდესლიგა
#### XXII ტური

ბრაუნშვაიგი — დინამო 1:0; კარლსრუე — ფრაიბურგი 1:1; მიუნხენი — ოფენბახი 1:1; ბოხუმი — ფიურტი 1:1; ბურგჰაუზენი — ზაარბრიუკენი 2:0; აუე — უნტერჰახინგი 0:1; პადერბორნი — ჰანზა 3:0. ზიგენი — ალენი გადაიდო, *ალემანია — კოტბუსი დღეს გაიმართება*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოხუმი | 22 | 13 | 6 | 3 | 38:18 | 45 |
| ალემანია | 20 | 12 | 2 | 6 | 38:23 | 38 |
| კარლსრუე | 22 | 10 | 6 | 6 | 32:25 | 36 |
| პადერბორნი | 22 | 10 | 5 | 7 | 34:19 | 35 |
| ფიურტი | 21 | 10 | 5 | 6 | 34:28 | 35 |
| ფრაიბურგი | 22 | 10 | 5 | 7 | 29:24 | 35 |
| კოტბუსი | 20 | 9 | 5 | 6 | 31:24 | 32 |
| ბურგჰაუზენი | 22 | 8 | 8 | 6 | 27:30 | 32 |
| უნტერჰახინგი | 22 | 9 | 4 | 9 | 31:28 | 31 |
| მიუნხენი | 22 | 8 | 7 | 7 | 30:28 | 31 |
| ბრაუნშვაიგი | 20 | 9 | 3 | 8 | 22:20 | 30 |
| ჰანზა | 20 | 8 | 4 | 8 | 28:28 | 28 |
| აუე | 22 | 7 | 7 | 8 | 20:23 | 28 |
| ზიგენი | 21 | 5 | 5 | 11 | 22:29 | 20 |
| ზაარბრიუკენი | 21 | 5 | 4 | 12 | 21:41 | 19 |
| ოფენბახი | 21 | 5 | 3 | 13 | 20:43 | 18 |
| დინამო | 19 | 4 | 4 | 11 | 21:32 | 16 |
| ალენი | 21 | 3 | 7 | 11 | 20:35 | 16 |

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
#### XXIV ტური

კიოლნი (მ) — ობერჰაუზენი 0:1; კილი — მიუნსტერი 0:1; ოსნაბრიუკი — ჰერტა (მ) 2:1; ესენი — ვუპერტალი 3:2; ზანკტ პაული — დიუსელდორფი 1:1; ვატენშაიდი — ლევერკუზენი (მ) 3:2; ვერდერი (მ) — ემდენი 2:2; კარლ ცაისი — ქემნიცი 3:1; ჰამბურგი (მ) — ლიუბეკი 2:1

### სამხრეთ რეგიონალლიგა
#### XX ტური

ტრირი — ელვერსბერგი 2:0; კარლსრუე (მ) — აუგსბურგი 2:2; შტუტგარტი (მ) — ბაიროითი 2:0; კაიზერსლაუტერნი (მ) — კობლენცი 1:1. *მიუნხენი (მ) — ემბორნი, რეგენსბურგი — ჰოფენჰაიმი, პფულენდორფი — დარმშტადტი, აალენი — ბაიერნი (მ) და ვეჰენი — კიკერსი გადაიდო*

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXVII ტური**

**ლიონი 3:1 ნანტი**
1:0 ჟუნინიო (8), 2:0 მ. დიარა (34), 3:0 ფრედი (57), 3:1 დიალო (73)

**ნიცა 2:0 მონაკო**
1:0 ბელიონი (83), 2:0 ბ. კონე (76)

**აიაჩო 0:2 ბორდო**
0:1 შამახი (31), 0:2 დენილსონი (57)

**პსჟ 0:1 ლე მანი**
0:1 ფორე (53)

**რენი 4:1 ლანსი**
1:0, 2:0 უტაკა (37, 45), 3:0 მონტერუბიო (73), 4:0 უტაკა (79), 4:1 კუზინი (90)

**სენტ ეტიენი 0:2 ლილი**
0:1 დებუში (42), 0:2 ა. კეიტა (62)

**სოშო 1:0 ოსერი**
1:0 დაგანო (1)

**ტულუზი 1:2 სტრასბური**
0:1 პ. ფარნერუდი (5), 0:2 აბდესადკი (60პ), 1:2 დ. მორეირა (76)

**ტრუა 0:1 ნანსი**
0:1 ზერკა (60)

**მეცი 1:0 მარსელი**
1:0 გუიე (87)



AFP რეიტერი

ჯონ უტაკამ ჰეთ თრიკი მიითვალა

# უტაკა და, რა უტაკა!

**ზედიზედ** სამი ფრის შემდეგ „ლიონმა" ისევ მოიგო. ჟერარ ულიეს გუნდმა „ნანტთან" გაიბრწყინა და ჩემპიონთა ლიგაზე პსვ-სთან მატჩის წინ მშვენიერი განწყობა შეიქმნა.

მასპინძლები მე-9 წუთზე ჟუნინიოს მორიგი უნაკლო ჯარიმით დაწინაურდნენ. ამას მოჰყვა მაჰამადუ დიარას გოლიც, ბოლო, მესამე კი ფრედიმ შეაგდო.

„გამარჯვება ნამდვილად დავიმსახურეთ. პირველი ტაიმი ფანტასტიკური იყო, უამრავი მომენტი შევქმენით. კვლავაც ძალიან მონდომებულები ვართ, ჩემპიონობა გვსურს" — განაცხადა ჟერარ ულიემ.

დევნას აგრძელებს „ბორდო" — ჟირონდელებმა სტუმრად „აიაჩოს" სძლიეს, თანაც გოლი ისევ არ გაუშვიათ. თავი გამოიჩინეს შამახმა და დენილსონმა, რომელიც ბოლო დროს ჩინებულად თამაშობს.

ასევე სტუმრად და ასევე 2:0 იმარჯვა „ლილმა". მშვენივრად მოთამაშე კლოდ პუელის შეგირდებმა „სენტ ეტიენს" აჯობეს და მესამე ადგილზე აინაცვლეს. მეოთხე ადგილზე დაქვეითებული „ოსერი" სოშოში დამარცხდა. სტუმრებმა გოლი მე-2 წუთზევე გაუშვეს და ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ გათანაბრება ვეღარ მოახერხეს.

პსჟ-ს 15 იანვრის მერე არ მოუგია და ნავსი ვერც ახლა გატეხა. პარიზელები ამჯერად „ლე მანთან" შეცხვნენ და ბერნარ ლაკომბის გუნდი თავზე დაისვეს, ანუ ამ გამარჯვებით „ლე მანი" მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა.

„რენმა" კი „ლანსი" გამოიჭირა და ბდღვირი ადინა. ამ მატჩში ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, რომ მასპინძელთა თავდამსხმელმა ჯონ უტაკამ თავისი ყოფილი კლუბი სამი გოლით გაამწარა.

შავ დღეშია „მონაკო", რომელმაც ისევ წააგო და მე-11 ადგილზე ჩამოვარდა. საინტერესოა, რომ „ნიცამ" ფრანჩესკო გვიდოლინის გუნდი ახლახან თასიდანაც დაიფრინა. შეხვედრის გმირად კოტდივუარელი ბაკარი კონე იქცა. მან ჯერ პენალტი მოინადირა, რომელიც დევიდ ბელიონმა გოლად აქცია, ხოლო ბოლოს თავადაც შეაგდო.

„საკმაოდ კარგად ვითამაშეთ. თუმც ისეთი მომენტებიც არის, რომლესაც არ გიმართლებს. ჩამოყალიბების პროცესში ვართ. იმედია, მალე იღბალიც აღარ გვაქცევს ზურგს და ყველაფერი გამოსწორდება" — თქვა გვიდოლინმა.

**გიორგი ქაქაბაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 26 | 17 | 8 | 1 | 43:17 | 59 |
| ბორდო | 27 | 14 | 10 | 3 | 26:12 | 52 |
| ლილი | 27 | 12 | 8 | 7 | 36:19 | 44 |
| ოსერი | 27 | 13 | 4 | 10 | 33:27 | 43 |
| ლე მანი | 27 | 12 | 6 | 9 | 27:19 | 42 |
| პსჟ | 27 | 11 | 7 | 9 | 31:26 | 40 |
| მარსელი | 27 | 11 | 7 | 9 | 26:28 | 40 |
| ნიცა | 27 | 10 | 9 | 8 | 22:21 | 39 |
| ლანსი | 27 | 8 | 14 | 5 | 34:26 | 38 |
| ნანსი | 26 | 11 | 5 | 10 | 27:19 | 38 |
| მონაკო | 26 | 10 | 7 | 9 | 26:22 | 37 |
| რენი | 27 | 11 | 2 | 14 | 29:41 | 35 |
| ნანტი | 27 | 9 | 7 | 11 | 29:29 | 34 |
| ტულუზი | 27 | 9 | 7 | 11 | 26:30 | 34 |
| სენტ ეტიენი | 27 | 8 | 10 | 9 | 23:27 | 34 |
| სოშო | 27 | 7 | 9 | 11 | 20:28 | 30 |
| ტრუა | 27 | 6 | 9 | 12 | 23:33 | 27 |
| აიაჩო | 27 | 4 | 9 | 14 | 16:33 | 21 |
| სტრასბური | 27 | 3 | 11 | 13 | 20:36 | 20 |
| მეცი | 26 | 3 | 9 | 14 | 16:40 | 18 |

**II დივიზიონი. XXVI ტური**

ამიენი — ბრესტი 1:1; კლერმონი — ბასტია 2:0; გენგამი — კრეტეი 0:0; ისტრი — გრენობლი 2:1; ლავალი — ლე ავრი 0:0; ლორიანი — დიჟონი 1:0; რეიმსი — მონპელიე 0:1; სედანი — კაენი 1:1; სეტე — გენიონი 2:0; ვალანსიენი — შატორუ 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სედანი | 26 | 13 | 10 | 3 | 37:22 | 49 |
| ბასტია | 25 | 13 | 7 | 5 | 36:19 | 46 |
| ლორიანი | 26 | 12 | 9 | 5 | 32:18 | 45 |
| ვალანსიენი | 26 | 12 | 9 | 5 | 33:21 | 45 |
| დიჟონი | 26 | 10 | 9 | 7 | 29:24 | 39 |
| კრეტეი | 26 | 9 | 11 | 6 | 34:20 | 38 |
| მონპელიე | 26 | 9 | 9 | 8 | 24:26 | 36 |
| კაენი | 26 | 8 | 11 | 7 | 31:26 | 35 |
| ლე ავრი | 26 | 7 | 12 | 7 | 30:29 | 33 |
| გენიონი | 26 | 7 | 12 | 7 | 17:25 | 33 |
| შატორუ | 26 | 7 | 11 | 8 | 30:31 | 32 |
| გრენობლი | 26 | 8 | 8 | 10 | 25:30 | 32 |
| რეიმსი | 25 | 6 | 13 | 6 | 21:16 | 31 |
| ამიენი | 26 | 6 | 13 | 7 | 25:26 | 31 |
| ბრესტი | 26 | 7 | 9 | 10 | 24:29 | 30 |
| ისტრი | 26 | 7 | 9 | 10 | 24:35 | 30 |
| კლერმონი | 26 | 7 | 7 | 12 | 22:40 | 28 |
| გენგამი | 26 | 5 | 12 | 9 | 17:20 | 27 |
| ლავალი | 26 | 6 | 5 | 15 | 20:36 | 23 |
| სეტე | 26 | 3 | 8 | 15 | 21:39 | 17 |

# რეინჯერსს ჰართსიც სელტიკი გაუხდა

## შოტლანდია

**პრემიერლიგა. XXVII ტური**

**აბერდინი 1:0 ფოლკირკი**
1:0 სმიტი (34)

**დანდი იუნ. 2:4 ინვერნესი**
1:0 მალგრივი (18), 1:1 დოდსი (30), 2:1 მალგრივი (40), 2:2 ვინსი (45), 2:3 დარგო (49), 2:4 მორგანი (85)

**ჰართსი 3:0 მოზერუელი**
1:0, 2:0 იანკაუსკასი (4, 14), 3:0 ელიოტი (78)

**კილმარნოკი 3:1 ლივინგსტონი**
0:1 ჰისლოპი (14), 1:1 ველსი (22), 2:1 ნეისმიტი (27), 3:1 ინვინჩიბილე (59)

**რეინჯერსი 2:0 ჰიბერნიანი**
1:0 ბოიდი (40), 2:0 ბ. ფერგიუსონი (74)

**დანფერმლაინი 1:8 სელტიკი**
0:1 ს. პეტროვი (3), 1:1 ტოდი (14), 1:2 ჰარტსონი (24), 1:3, 1:4, 1:5 ჟურავსკი (32, 40, 56), 1:6 მელოუნი (74), 1:7 ნ. ლენონი (82), 1:8 ჟურავსკი (88)



ბარი ფერგიუსონი

**„რეინჯერსი"** ბოლო წლებში ერთ-ერთ ყველაზე უხეირო სეზონს ატარებს. „ჩაფრები" ერთხანს ოთხეულს მიღმაც კი იყვნენ, მაგრამ ახლა ნელ-ნელა ამოყვინთეს და ცდილობენ მეორე ადგილზე მოხვდნენ, მაგრამ „ჰართსამდე" ჯერ ისევ შორია. ამ თვალსაზრისით შაბათს „აიბროქსზე" ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი შედგა. ალექს მაკლიშის გუნდმა „ჰიბერნიანს" უმასპინძლა, რომელსაც ორი ქულით ჩამორჩებოდა.

